პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

შაბათი, 7 აგვისტო, 1948 წ. № 156 (8200). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ვიბრძოლოთ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება — პარტკაბინეტის მუშაობის ნაკლოვანებანი (მე-2 გვერდი).

გიორგი ლეონიძე — ვახუშტი ბაგრატიონის საფლავი (მე-2 გვერდი).

ა. კვაჭაძე — ყოველმხრივ მზად შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს (მე-2 გვერდი).

ა. მგელაძე — სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის აგებულების წინ (მე-3 გვერდი).

ანა ლვინიაშვილი — ეკატერინე გაბაშვილი (მე-3 გვერდი).

დუნაის კონფერენციაზე (მე-3 და მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ვიბრძოლოთ ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხი გიგანტურ წარმატებებს აღწევს. ამ წარმატებათა საუკეთესო დადასტურებაა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ომამდელი დონის მიღწევა ჯერ კიდევ გასული წლის მეოთხე კვარტალში; 1.900 მსხვილი სამრეწველო საწარმოს აგება და აღდგენა ახალი ხუთწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში; სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევები ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შექმნისა და მრეწველობის ნედლეულით შეუფერხებელი მომარაგებისათვის; დაბოლოს, გასული წლის დეკემბერში განხორციელებული ფულის რეფორმა, საბარათო სისტემის გაუქმება და ფართოდ გაშლილ საბჭოთა კულტურულ ვაჭრობაზე გადასვლა, რამაც დიდად აამაღლა მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. რომელი კაპიტალისტური ქვეყანა იოცნებებს ასეთ წარმატებებზე ასე მოკლე პერიოდში, სულ რაღაც ორიორნახევარი წლის განმავლობაში?

ამ წარმატებათა საფუძველია წარმოების სოციალისტური სისტემის უპირატესობა, ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობა, საბჭოთა ხალხის მჭიდროდ დაოაზმულობა პარტიისა და მთავრობის გარშემო, მრეწველობაში, ტრანსპორტზე, ახალმშენებლობებსა და სოფლის მეურნეობაში ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება.

დიდია ჩვენი ხალხის მიერ მოპოვებული წარმატებანი ახალი ხუთწლედის განვლილი ორნახევარი წლის მანძილზე. მაგრამ ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი მიღწეულით არასოდეს არ კმაყოფილდება. ჩვენს წინაშე ახალი დიდი ამოცანები დგას. ესენია კიდევ უფრო მეტი წარმატებების მოპოვება კომუნიზმის მშენებლობის გზაზე, ჩვენი სამშობლოს ძალისა და ძლიერების შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის სისტემატური ამაღლება.

ამ მიზანს ემსახურება ლენინგრადის მრეწველობის მუშაკთა პატრიოტული თაოსნობა, მათი მიმართვა საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ.

ლენინგრადელთა ამ შესანიშნავ თაოსნობას საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელები აქტიურად გამოეხმაურნენ და კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს. ფართო ფრონტით სწარმოებს ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად. საბჭოთა ხალხმა ახალი ხუთწლედის მესამე წელს გადამწყვეტი წელიწადი უწოდა. იმ მიზნით, რომ ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში განხორციელდეს, მოსკოვის სამოცდაშვიდი საწარმოს კოლექტივებმა ხუთწლედის მესამე წლის გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულება იკისრეს და აქეთკენ მოუწოდეს მრეწველობის ყველა მუშაკს. საქართველოში მოსკოველთა ამ თაოსნობის განხორციელების ინიციატორებად თბილისის 12 მოწინავე საწარმოს კოლექტივი გამოვიდა.

სამეურნეო წლის პირველ ნახევარში საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს. გადაჭარბებით შესრულდა როგორც პირველი, ისე მეორე კვარტალის გეგმა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მილიონობით მანეთის პროდუქცია, შემცირებულია თვითღირებულება, გაუმჯობესებულია პროდუქციის ხარისხი, გამრავლდა იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც რენტაბელურად მუშაობენ და მილიონობით მანეთ დაგროვებას აძლევენ სახელმწიფოს.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ თვეებში მრეწველობის ზოგიერთმა დარგმა მუშაობის ტემპი შეანელა. ეს უპირველეს ყოვლისა შეეხება ტყიბულქვანახშირის ტრესტს. ტყიბულელმა მეშახტეებმა სამეურნეო წელი კარგად დაიწყეს. წლის პირველ თვეებში გეგმის გადამეტებით იღებდნენ ქვანახშირს, რამაც საშუალება მისცა ტრესტს ნახევარი წლის გეგმა შეესრულებინა, მაგრამ არც ივნისისა და არც ივლისის გეგმები შესრულებული არ არის. გეგმას სანახევროდაც ვერ ასრულებენ ახალციხის ქვანახშირის შახტებიც. ახალციხელმა მეშახტეებმა წლის განმავლობაში ვერ შესძლეს გასულ წელს ამუშავებული, მაღალი ტექნიკით აღჭურვილი ახალი შახტის სიმძლავრის ათვისება.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობამ ივლისში გააუმჯობესა მუშაობა და ამის შედეგად შესძლო შვიდი თვის გეგმის შესრულება, მაგრამ ზოგიერთი მაღარო კვლავ ჩამორჩენილია. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ჭიათურელმა მაღაროელებმა წელს 5 მილიონი მანეთის დაზოგვა იკისრეს, მაგრამ ამ ვალდებულებას ჯერჯერობით ცუდად ასრულებენ.

ივლისში მუშაობის ტემპი ვერ შეინარჩუნა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივმა. იგივე შეიძლება ითქვას შეჯიბრების ერთ-ერთი ინიციატორის — 26 კომისრის სახელობის ქარხნის შესახებ. ამ ქარხნის კოლექტივს საერთო პროდუქციის გამოშვების 7 თვის გეგმა შესრულებული აქვს 111,7 პროცენტით, ივლისისა კი მხოლოდ ასი პროცენტით. ზემოაღნიშნული ქარხნები გამონაკლისი როდია, საწარმოთა დიდი ნაწილი, თუ დღემდე არსებული ტემპით განაგრძეს მუშაობა, ვერ შესძლებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

ჩვენს მრეწველობას ყველა პირობა მოეპოვება საწარმოო გეგმის ვადამდე შესასრულებლად. ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები უახლესი ტექნიკით არიან აღჭურვილნი. გაუმჯობესდა ნედლეულით მომარაგება. ხრამის ჰიდროელსადგურის პირველი აგრეგატის ამუშავებამ უზრუნველჰყო საწარმოების შეუფერხებელი მომარაგება ელექტროენერგიით. საწარმოთა სტახანოველები 150-200 და კიდევ მეტი პროცენტით ასრულებენ დღიურ ნორმებს. მაგრამ საერთო წარმატების მიღწევას ხელს უშლის ის გარემოება, რომ მუშათა საგრძნობი რაოდენობა დაბალი კვალიფიკაციის გამო დღიურ ნორმებს ვერ ასრულებს. ზოგიერთ საწარმოში სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებს, საქარხნო პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები ყოველდღიურად არ ხელმძღვანელობენ შეჯიბრებას, პარტიულ და საერთო კრებებზე იშვიათად იხილავენ გეგმის შესრულების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ხარისხის გაუმჯობესების, რენტაბელური მუშაობის, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს, წარმოების ნოვატორთა—მოწინავე სტახანოველთა მუშაობის გამოცდილების საყოველთაო კუთვნილებად გადაქცევას.

მესამე კვარტალი გადამწყვეტია წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად. აგვისტოსა და სექტემბერში მაღალნაყოფიერ მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მრეწველობის მუშაკების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდება. შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, სოციალისტური შეჯიბრებისადმი ყოველდღიური ხელმძღვანელობით უზრუნველვყოთ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულება.

ჩ ვ ე ნ ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი

ლითონის კონსტრუქციები და ცისტერნები გეგმის გადამეტებით

საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ფართოდ გაშლასთან ერთად წელს დიდად გაიზარდა მოთხოვნილება ლითონის კონსტრუქციებზე, უმთავრესად გადამცემ ხაზთა საყრდენ ანძებსა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სათავის მოწყობილობებზე. ასევე გაიზარდა მოთხოვნილება ცისტერნებზე, რომელთა მომხმარებელი ტრანსპორტის გარდა ჩვენი სოფლის მეურნეობაცაა. ორივე ამ სახის პროდუქციის გამოშვებაზე მუშაობს თბილისის ლითონკონსტრუქციების ქარხანა.

განვლილი შვიდი თვის მანძილზე ამ ქარხნის კოლექტივმა ლითონის კონსტრუქციების გამოშვების გეგმა 122 პროცენტით შეასრულა, ცისტერნების გამოშვებისა—164 პროცენტით და ლითონის კასრების გამოშვებისა—125 პროცენტით. ქარხანამ წლის პირველ ნახევარში 521.000 მანეთი დაგროვება მოგვცა.

შიფერის მოწინავე ოსტატების წარმატება

კასპი, (საკ. კორ.). შიფერის ქარხნის კოლექტივს მრავალი მოწინავე ოსტატი ჰყავს. მათ შორის უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით ისახელეს თავი ს. ნერგაძის ცვლაში მომუშავე მემანქანეებმა ა. სუხაშვილმა და ვ. მანძულაშვილმა, რომლებმაც მიმდინარე წლის 7 თვის გეგმები ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით შეასრულეს.

შიფერის—ამ შესანიშნავი სახურავი მასალის ხარისხისათვის ბრძოლაში საუკეთესო შედეგს მიაღწიეს ცვლის ოსტატების ქეთო დეისაძისა და მ. ბაკურაძის ცვლებმა. ქარხნის ამ მოწინავე ადამიანთა მაღალნაყოფიერი მუშაობის შედეგად 7 თვის საწარმოო დავალება კოლექტივს განაღდებული აქვს 108 პროცენტით.

ლიანდაგის რემონტი სწრაფი მეთოდით

ხაშური (საკ. კორ.). ამას წინათ ხაშურის სალიანდაგო დისტანციის კოლექტივი შეუდგა საუღელტეხილო უბანზე ლიანდაგის რემონტს სწრაფი მეთოდით. ერთი დღის განმავლობაში ლიანდაგის სრული გაჯანსაღება მოხდა 1,5 კილომეტრის მანძილზე.

ლიანდაგის სარემონტო სამუშაოები შესრულებულია მაღალხარისხოვნად და გაწეულია დიდი ეკონომია.

კარგი მუშაობით განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მელიანდაგეებმა გ. სხილაძემ, პ. ნანიტაშვილმა, ი. ?ესხმა და მ. ლაცაბიძემ, ბრიგადირებმა ი. პიტელაშვილმა, ვ. კვინიკაძემ, ლ. კიკნაძემ, ლიანდაგის შემომვლელებმა ს. ხანიკაევმა, გ. მჭედლიშვილმა, ი. ვონგაძემ და გზის ოსტატებმა მ. ხახუტაშვილმა, შ. კურტანიძემ და შ. მჭედლიშვილმა.

აითვისეს ახალი პროდუქცია

წლიური გეგმა შევასრულოთ 7 ნოემბრისათვის—ასეთი ლოზუნგით მუშაობენ თბილისის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანაში. ივლისში აქ საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა და საერთო პროდუქციის გამოშვების თვიური გეგმა 109,3 პროცენტით შეასრულეს.

წელს ქარხანაში აითვისეს ხილის საკრეფი მაკრატლის დამზადება. პირველ პარტიას—500 ცალს გამოუშვებენ აგვისტოში. ათვისების პროცესშია ვენახის საკულტივაციო გუთანი, რომელიც აქამდე ჩვენს რესპუბლიკაში არ მზადდებოდა

7 ნოემბრისათვის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლის მოწინავეთა რიგებში არიან ქარხნის სტახანოველები. ივლისში პროფესიათა მიხედვით შეჯიბრებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი მჭედლებს შორის მ. ოგანეზოვმა და ზ. ბოდოკიამ. პირველმა ივლისის დავალება 260 პროცენტით გაანაღდა, ხოლო მეორემ ორმაგად შეასრულა გეგმა. ლითონმსხმელებს შორის პირველობა მოიპოვა ვ. ჯიშკარიანმა, რომლის საწარმოო მაჩვენებელია 250 პროცენტი, მეორე ადგილზეა გ. აკოფოვი—220 პროცენტი. ზეინკალმა შ. ეაუფაშვილმა ორნახევარი ნორმა გამოიმუშავა, პ. თვაურისა და ა. ჯიქიას საწარმოო მაჩვენებელია 245 პროცენტი. ხარატებს შორის პირველობა მოიპოვა ი. რობაქიძემ, რომელმაც 250 პროცენტით შეასრულა დავალება. ხარატ გ. ათაბეგოვის საწარმოო მაჩვენებელია 240 პროცენტი, ვ. სადუნიშვილისა—210 პროცენტი.

სოციალისტური შრომის გმირის ჭარხლის ნაკვეთში

მზრუნველი ხელი ატყვია სამ ჰექტარ შაქრის ჭარხალს, რომელიც მოსავლელად მიჩენილი აქვს სოციალისტური შრომის გმირის, კასპის რაიონის სოფელ ქვემო გომის კოლმეურნეობა „მნათობის" წევრის სოფიო მარიდაშვილის რგოლს. გეგმით აქ თვითეულ ჰექტარზე 600 ცენტნერი ჭარხალი უნდა მოიყვანონ, სოციალისტური შრომის გმირის მარიდაშვილის რგოლი კი იბრძვის ყოველ ჰექტარზე 1.100 ცენტნერი შაქრის ჭარხლის მიღებისათვის.

ს. მარიდაშვილის რგოლის 15-ვე კოლმეურნე მაღალნაყოფიერად მუშაობს. სოციალისტური შრომის გმირის პირადი მაგალითის მიხედვით რგოლში სანიმუშოდ მოწესრიგებულია შრომა, მტკიცეა დისციპლინა. რგოლის წევრებმა შაქრის ჭარხლის პლანტაციაში თერთმეტი სხვადასხვა სახის ღონისძიება გაატარეს. მათ შორის ღრმა თოხნა, მეჩხერი მწკრივების შევსება და სხვ. ასე შეინარჩუნეს ყოველ ჰექტარზე 105 ათასი ძირი შაქრის ჭარხალი. ივლისის მეორე ნახევარში ჭარხლის პლანტაცია უფრო ხშირად მორწყეს. ამის შედეგად ფოთლებმა ისე დაფარეს მიწა, რომ მწკრივები თითქმის აღარ სჩანს.

— ახლა ძირები შაქრით ივსება და მსხვილდება. მალე კალიუმის მარილს შევიტანთ პლანტაციაში, — ამბობს მერგოლეური სოფიო მარიდაშვილი. რგოლი აძლიერებს ნათესის ხელით მარგვლას. ამ საქმეს წარმატებით ახორციელებენ კატო ბერიაშვილი, ოლა მამულაშვილი, ნინო ?აგინაშვილი, ხოლო რწყვას — იოსებ ბერიაშვილი, გიორგი კაციაშვილი, ალექსი გერმანოზიშვილი.

(„კომუნისტის" კორ.).

სემინარი სასოფლო საბჭოების აღმასკომების მდივნებისათვის

ტყიბულში მოეწყო 2-დღიანი სემინარი სასოფლო საბჭოების აღმასკომების მდივნებისათვის. სემინარზე წაკითხულ იქნა ლექციები შემდეგ თემებზე: „წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის შესახებ", „სასოფლო საბჭოს მდივანი და მუდმივმოქმედი კომისიების მუშაობა", „სასოფლო საბჭოს მდივნის უფლება-მოვალეობა" და სხვ.

ლექციები წაიკითხეს საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომისა და რაიონული საბჭოს აღმასკომის პასუხისმგებელმა მუშაკებმა. სემინარის მსმენელთათვის მოეწყო ექსკურსია ტყიბულის ახალი, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილ სამხრეთ-აღმოსავლეთი შახტის დასათვალიერებლად.

ჩაის ფოთლის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

ჩაის საბჭოთა მეურნეობებში გაძლიერდა ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი. სამი თვის დავალება გადაჭარბებით შეასრულეს გონიოს, სალიბაურის, ჩაქვის, ცეცხლაურის, ნატანების, ლაითურის, ნასაკირალის, დიდიჭყონის, ნარაზენის, ხეცერის, წალენჯიხის, აჩიგვარის და მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა.

ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ივლისის გეგმა მხოლოდ 74,1 პროცენტით შეასრულა, წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ—35,1, ლესიჭინის—42,9, ინგირის—46,5, აჭარის ჩაის ტექნიკუმმა კი—76,7 პროცენტით.

ჩაის საბჭოთა მეურნეობებს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებული აქვთ 63,9 პროცენტით, ხოლო ივლისისა—93,4 პროცენტით.

კოლმეურნეთა მხატვრული მომსახურება

მოსავლის აღებასთან დაკავშირებით საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა კარგი მომსახურება გაუწია კოლმეურნეებს. 16 სარაიონო სახელმწიფო გუნდის მიერ დღემდე კოლმეურნეობებში ჩატარებულია 155 კონცერტი. საგუნდო, ქორეოგრაფიული და თეატრალური თვითმოქმედების წრეებმა ადგილებზე გამართეს 1068 კონცერტი.

თბილისიდან საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გაიგზავნა 5 მხატვრული ბრიგადა 150 კაცის შემადგენლობით, რომლებმაც დღემდე კოლმეურნეობებში 47 კონცერტი გამართეს. სარაიონო სახელმწიფო გუნდებში, თვითმოქმედ წრეებსა და მხატვრულ ბრიგადებში მონაწილეობას იღებს 1500-ზე მეტი შემსრულებელი.

კოლმეურნეობებთან არსებული თვითმოქმედი მხატვრული წრეებ-ს დასახმარებლად ადგილებზე გაიგზავნა კვალიფიციური მეთოდისტები და კონსულტანტები.

საკოლმეურნეო ჰიდროელსადგურების მშენებლობა

გულრიფშის რაიონი

სოფელ ხევში, მდინარე ჯამპალაზე შენდება საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური „წებელდჰესი", რომელიც მომსახურებას გაუწევს სოფელ ხევს, წებელდისა და ოქტომბრის 10 კოლმეურნეობას.

ამავე რაიონის სოფელ განახლებაში მდინარე კოდორზე დაწყებულია საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურის „განახლებაჰესის" მშენებლობა. იგი მომსახურებას გაუწევს სოფელ განახლებისა და კოდორის 8 კოლმეურნეობას.

გალის რაიონი

სოფელ ჭყონტოლის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრები დაჩქარებული წესით აშენებენ საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურს, რომელიც სოფელ წარჩეს ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობასაც მოემსახურება.

ასეთივე საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური შენდება სოფელ ჭუბურხინჯში. იგი მოემსახურება როგორც ადგილობრივად — სტალინისა და ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობებს, ისე სოფელ ცხირგოლის ზაქრაძის სახელობის, სოფელ თაგილონის ვოროშილოვისა და ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობებს.

გუდაუთის რაიონი

სოფელ ახალ სოფელში მდინარე თეთრწყალზე შენდება მძლავრი საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური „თეთრწყალჰესი", რომელიც მომსახურებას გაუწევს ამავე სოფლის სტალინის, რუსთაველისა და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებს.

ამჟამად სადგურის მშენებლობის ყველა უბანზე გაჩაღებულია მუშაობა. სადგური ამუშავდება ოქტომბრის რევოლუციის 31 წლისთავზე.

გაგრის რაიონი

ამას წინათ სოფელ ლესელიძეში ამუშავდა საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ენერგიას აწვდის სოფელ ლესელიძის, განთიადისა და სალხინოს კოლმეურნეობებს.

სოხუმის რაიონი

სოფელ შრომაში მდინარე დასავლეთ გუმისთაზე შენდება საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური „შრომაჰესი", რომელიც გეგმით ოქტომბრის რევოლუციის 31 წლისთავზე უნდა დამთავრდეს.

ბოლნისის რაიონმა შეასრულა პურის დამზადების გეგმა

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა 5 აგვისტოსათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა.

გეგმის გადამეტებით პურის დამზადება გრძელდება.

პურს გეგმის გადამეტებით აბარებენ

თბილისის რაიონის კოლმეურნეობები წარმატებით განაგრძობენ გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას.

სოფელ გლდანის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობამ გეგმის გადამეტებით უკვე ჩააბარა 4 ტონა მარცვალი, ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ—5 ტონა, კუმისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ—8 ტონა, წყნეთის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ—2 ტონა, თელეთის კოლმეურნეობა „იმედმა" — 7 ტონა. ხოლო სოღანლუღის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ — 15 ტონა.

გეგმის გადამეტებით აბარებენ პურს აგრეთვე კუმისის სტალინის სახელობის, ნორიოს ლენინის სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

* * *

ამავე რაიონის კოლმეურნეობები დიდ ყურადღებას აქცევენ დანაკარგებთან ბრძოლას. ივლისის უკანასკნელ ხუთდღიურში თავთავების აკრეფაზე ორგანიზებულად გამოდიოდა რამდენიმე ასეული კოლმეურნე. აკრეფილი თავთავებიდან მიღებულია 65 ტონა მარცვალი.

კოლმეურნეობებში ახლაც მიმდინარეობს თავთავების აკრეფა.

უდიდესი ორანჟერეა საბჭოთა კავშირში

ოსტანკინოში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე, აგებენ ორ დიდ ორანჟერეას ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეებისათვის. უახლოეს დროში აქ დაიწყება მშენებლობა საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდი ორანჟერეისა დედამიწის ყველა კუთხის ფლორისათვის. მისი ფართობი დაახლოებით 6 ათასი კვადრატული მეტრი იქნება.

ორანჟერეაში იქმნება 19 კლიმატური განყოფილება. „ტროპიკულ ზოლში" დაირგვება მარადმწვანე პალმები, გუგულისკაბა, კაქტუსი, დრაცენი და აგავე, ლიმონისა და ფორთოხლის ხეები. უკიდურესი ჩრდილოეთის განყოფილებაში იქნება ქონდარა არყის ხეები, მიწასგანთრხმული ძეწნები, ხავსი და მღიერი.

ორანჟერეაში მოთავსდებიან აგრეთვე ციმბირის უღრანი ტყეების წარმომადგენლები — დაურის ლარიქსი, კედარი, ფიჭვი და ცაცხვი.

მინის მაღალ ხუფქვეშ დაირგვება მანჯურიის კაკალი, კორეის კედარი, კორპის ხე, უსურიის მხალი. ფართოდ იქნება წარმოდგენილი შუა აზიის, ყირიმის, კავკასიისა და ალპების მცენარეულობა.

იქმნება ვენტილაციისა და ხელოვნური წვიმის სპეციალური სისტემა. ეს საშუალებას მოგვცემს ორანჟერეაში დავიცვათ საჭირო ტემპერატურა და ჰაერის ტენიანობა თვითეული ზოლის მცენარეებისათვის წლის ყოველ დროს.

ყველა მცენარეს მხოლოდ წვიმის წყლით მორწყავენ. ამ მიზნით ეწყობა აუზები წვიმის წყლის შესანახავად.

ორთაბრძოლა ავაზასთან

ტალდი-კურგანი, 3 აგვისტო. (საკდესი). ჯუნგარის ალატაუს მთის კალთები დასერილია მთის მჩქეფარე მდინარეებით, დაფარულია ხშირი შამბნარით. აქ მონადირეები ხშირად ნადირობენ. ამ დღეებში ძერჟინსკის რაიონის მცხოვრებმა ამხ. ნაგიბინმა მოკლული ნადირის ძებნის დროს შენიშნა, რომ მას ეპარებოდა ავაზა. ნაგიბინმა განზე გადაუხვია და ქვას ამოეფარა. პირველი გასროლით მან ნადირი დასჭრა. გაავთრებული მტაცებელი ეძგერა მონადირეს, მაგრამ მან მეორედ ესროლა, ავაზა მოჰკლა.

მნგრეველ ალექსანდრე ტიურენკოვის მეთოდი

სუჩანი (ზღვისპირეთის მხარე), 3 აგვისტო. (საკდესი). № 21 შახტის მაღაროელები ზღვისპირეთში პირველნი გამოეხმაურნენ გორლოვკის სახელგანთქმული მნგრეველის ალექსანდრე ტიურენკოვის თაოსნობას. მან თავის ბრიგადაში გამოიყენა კოლექტიური სტახანოვური მუშაობის მეთოდი. ყველა ლავა გადაყვანილია ციკლურობის გრაფიკით მუშაობაზე. თვითეულ მნგრეველსა და მებიგეს მიჩენილი აქვს გარკვეული სანგრევი.

ახლებურად მუშაობამ ივნისშივე გაადიდა მნგრეველთა შრომის ნაყოფიერება 34 პროცენტით, ხოლო „კადრის" უბანზე — ერთნახევარჯერ. განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია სანგრევი უროს ოსტატმა პროკოპიევმა, რომელიც ამ უბანზე მუშაობს. ივლისში 27 ცვლაში მან 1.281 ტონა ქვანახშირი მოანგრია, მაშინ როცა თვიურ ნორმად დაწესებულია 400 ტონა. ცალკეულ დღეებში პროკოპიევი რვა-რვა ნორმას აკეთებს. „ტოლსტის" უბნის მნგრეველმა ვირჩენკომ, რომელიც მას ეჯიბრება, იმავე ხნის განმავლობაში 1.149 ტონა სათბობი ამოიღო.

ორივე სტახანოველმა 7 თვეში წელიწადნახევრის დავალება შეასრულა თვითეულმა. ისინი თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ საფაბრიკო-საქარხნო სკოლებიდან მოსულ ახალგაზრდა მაღაროელებს. პროკოპიევმა 7 მნგრეველი მოამზადა. ვირჩენკომ 15 ახალგაზრდა მაღაროელს შეასწავლა თავისი მეთოდი. ამჟამად „კადრისა" და „ტოლსტის" უბნებზე არც ერთი მეშახტე არ არის, რომ ნორმას არ ასრულებდეს.

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ქ რ ო ნ ი კ ა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა სტალინური პრემიის ლაურეატი რსფსრ სახალხო არტისტი ა. ვ. სვეშნიკოვი დანიშნა პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორად.

* * *

მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიასთან დაარსდა სამხატვრო საბჭო. საბჭოში შევიდნენ ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები—მომღერლები, დირიჟორები, მუსიკოსები—ვ. ბარსოვა, ი. კოზლოვსკი, ა. გაუკი, ლ. ობორინი, დ. ოისტრახი და სხვები.

საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებულია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ვლასოვი. (საკდესი).

პარტიული ცხოვრება

პარტკაბინეტის მუშაობის ნაკლოვანებანი

აქ მუდამ სიწყნარეა. თითქმის ვერ ნახავთ კონსულტაციისათვის მოსულთ. და ეს ბუნებრივია. სოფლიდან კონსულტაციისათვის ძნელი ხდება პარტკაბინეტში ჩამოსვლა. უფრო სამწუხარო ის არის, რომ რაიონის ცენტრში მომუშავე ამხანაგებიც იშვიათად შეივლიან პარტკაბინეტში. არა ერთი კომუნისტი შეიძლება დავასახელოთ, რომელიც პარტკაბინეტში ერთხელაც არ ყოფილა.

პარტიულ კაბინეტს ცუდი ბიბლიოთეკა როდი აქვს, მაგრამ ლიტერატურას ნაკლებად იყენებენ. ბიბლიოთეკას ნაკლებად ეტანებიან მკითხველები. ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ კაბინეტს დღემდე არ გააჩნია ოთახი წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეებისათვის.

პარტკაბინეტს კონსულტანტები არა ჰყავს. არის მხოლოდ პარტკაბინეტის გამგე ამხ. შ. ჩაჩანიძე. მას მუშაობა შეუძლია, მაგრამ არ სცალია, ხშირად სოფლად არის მიმაგრებული მიმდინარე კამპანიების ჩასატარებლად. კაბინეტში მარტო ბიბლიოთეკარს თუ ნახავთ. აი ზოგიერთი მიზეზი, თუ რატომ არ დადიან პარტიულ კაბინეტში.

ამიტომ პარტკაბინეტს სიმძიმის ცენტრი სოფლად გამსვლელი კონსულტაციების მოწყობაზე აქვს გადატანილი. ჯგუფური კონსულტაცია ორგანიზებულად ჩატარდა სოფელ მანდაეთის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. მას თვით პარტკაბინეტის გამგე ხელმძღვანელობდა. კონსულტაციები მოუმზადებელი და უშინაარსო იყო სოფელ ქვაციხესა და წირქვალაში. ასევე ითქმის ზოგიერთ ლექციაზეც. ამას წინათ სოფელ ხრეითში ლექცია ჩაიშალა. ასეთი ფაქტები რაიონში იშვიათი როდია.

ორი სიტყვა ისევ ლექციურ პროპაგანდაზე. უკანასკნელ სამ თვეში რაიონში 51 ლექცია მოეწყო. ლექციები უმთავრესად პარტიის ისტორიის საკითხებზე იკითხება, მაგრამ ნაკლებად ვხვდებით თემებს ოქტომბრის შემდგომ პერიოდზე. პარტკაბინეტის ლექციების თემატიკა არ არის მრავალფეროვანი. თითქმის არ იკითხება ლექციები სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზე, მეცნიერულ-საბუნებისმეტყველო თემებზე და სხვ. გვეტყვიან: ეს სალექციო ბიუროს საქმეაო, მაგრამ სალექციო ბიურო ამ მხრივ მაინც და მაინც ბევრს არაფერს აკეთებს და არც პარტკაბინეტი ზრუნავს ამისათვის. უსათუოდ მეცნიერულ-საბუნებისმეტყველო ცოდნის პროპაგანდის სისუსტით აიხსნება, რომ რელიგიურ ცრურწმენას ზოგჯერ გასავალი აქვს მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენაში.

ჭიათურის რაიკომის პარტკაბინეტს კარგად მუშაობის მეტი შესაძლებლობა აქვს. იგი ნამდვილად უნდა გადაიქცეს პროპაგანდისტული მუშაობის კერად.

პ. ჭიოკაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

შახტებში ცვლის უფროსების მუშაობის გაუმჯობესებისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიონული კომიტეტის ბიურომ განიხილა ლენინისა და სტალინის სახელობის შახტებში ცვლის უფროსების მუშაობის საკითხი. გამოირკვა, რომ ბევრი ცვლის უფროსი ტექნიკურად მოუმზადებელია და ჩაბმული არ იყო ტექნიკურ სწავლებაში. ადგილი ჰქონდა ცვლის უფროსების დიდ ცვალებადობას. მაგალითად, 1948 წლის 6 თვეში სტალინის სახელობის შახტში 8 ცვლის უფროსი შეიცვალა. პარტიული ორგანიზაციები არ იხილავდნენ ცვლის უფროსების მომზადებისა და მუშაობის საკითხებს.

რაიკომის ბიუროს დადგენილების შემდეგ შახტების ყველა ცვლის უფროსი სწავლობს ტყიბულქვანახშირის ტრესტის სასწავლო-საკურსო კომბინატში. კვირაში ერთხელ შახტების მთავარი ინჟინრები ცვლის უფროსებთან მართავენ სპეციალურ საუბრებს. ცვლის უფროსების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის იკითხება ლექცია-მოხსენებანი, ეწყობა თეორიული საუბრები.

შახტების პარტიული ორგანიზაციები ყოველგვარ პირობებს ჰქმნიან ცვლის უფროსთა ავტორიტეტის განსამტკიცებლად.

(„კომუნისტის“ კორ.).

პარტიული სკოლის გამოშვება

გასული წლის დეკემბერში საქართველოს კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომთან შეიქმნა 6-თვიანი პარტიული სკოლა, რომელშიც გაერთიანებული იყო 30 კაცი. მსმენელებმა შეისწავლეს საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, სსრ კავშირისა და კაპიტალისტური სახელმწიფოების გეოგრაფია, პარტიული და საბჭოთა მშენებლობის, საბჭოთა ეკონომიკის საკითხები და სხვ. სკოლამ მუშაობა უკვე დაამთავრა. მსმენელთა გამოშვება მოხდა ამ დღეებში. გამოშვების დროს გამოირკვა, რომ მსმენელთა უმეტესობამ კარგად აითვისა პროგრამით გათვალისწინებული მასალები. კარგი ცოდნა გამოავლინეს დ. ხეცურიანმა, ს. ჩორგოლიანმა, დ. ყურაშვილმა, ი. ჩიქოვანმა, გ. მღივანმა, დ. გუგუნავამ, კ. ბენდელიანმა და სხვებმა.

(„კომუნისტის“ კორ.).

მხატვართა ექსკურსია მოსკოვში

6 აგვისტოს ქართველ მხატვართა ჯგუფი 20 კაცის შემადგენლობით გაემგზავრა მოსკოვს, სადაც ისინი დაათვალიერებენ მოსკოვის მუზეუმსა და გალერეებს, გაეცნობიან რუსეთის სახვითი ხელოვნების კლასიკურსა და თანამედროვე ნიმუშებს. მოსკოვში ქართველი მხატვრები 20 დღეს დაჰყოფენ. ექსკურსია მოაწყო მხატვართა ფონდმა.

რატომ ჭიანურდება პურეულის ლეწვა

ლაგოდეხელმა კოლმეურნეებმა წელს თავთავიანი მარცვლეული კულტურების კარგი მოსავალი მოიყვანეს. კოლმეურნეობა „შრომაში“ (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ერ. სამარგველიანი) 115 ჰექტარი ხორბლის ნათესის ყოველ ჰექტარზე მიღებულია 21 ცენტნერი მარცვალი. ამ კოლმეურნეობის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ივანე ბლიაძემ 12 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე 29 ცენტნერი ხორბალი აიღო, ხოლო 60 ჰექტარის ყოველ ჰექტარზე 22 ცენტნერი. ბრიგადირ ილო ნატროშვილს 8 ჰექტარის ყოველ ჰექტარზე 27 ცენტნერი ხორბალი აქვს გალეწილი.

რაიონმა პურის მკა დაამთავრა, მაგრამ მისი დაზვინვა და ლეწვა ბევრგან ჭიანურდება. ეს იმითაც აიხსნება, რომ სალეწები ცდება, ხოლო მტს-ების დირექტორები ირ. კავსაძე და ლ. პივნიევი საჭირო ზომებს არ იღებენ სალეწი მანქანების სრული დატვირთვით მუშაობისათვის. მაგალითად, ლაგოდეხის მტს-ის სალეწი (მემანქანე ალ. ვოლკოვი) 15 ივლისამდე სოფელ თამარიანის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობდა. აქ ხელშეკრულებით 212 ჰექტარის მოსავალი უნდა გაელეწა, მაგრამ 30 ჰექტარის პურეულის გალეწვის შემდეგ სალეწი სხვა კოლმეურნეობაში გადაიტანეს. სოფელ თამარიანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობისათვის გამოყოფილი სალეწი მანქანა მოწყობილი არ არის ღამით მუშაობისათვის და ამიტომ გეგმას ვერ ასრულებს. გაცდენა გამოწვეულია კოლმეურნეობის თავმჯდომარის ი. ჩოგარნის მიზეზითაც. მან ვერ უზრუნველჰყო სალეწის მომსახურება მუშახელით.

მუშახელის დაუხმარებლობის გამო სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობა „წითელარმიელში“ (თავმჯდომარე დ. ქუტკოლი) მემანქანე ა. ვორობიოვი ლეწვის დღიურ დავალებას მხოლოდ 50-60 პროცენტით ასრულებს. 26, 27 და 28 ივლისს მემანქანემ ეს საბჭოს თავმჯდომარე მ. წიგნაძესაც განუცხადა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

გვხვდება უდარდელობის ასეთი ფაქტიც: სოფელ ვარდისუბნის ლეჟელიძის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ი. ცხოვრებაშვილი) 3 კვირის წინათ 3 ჰექტარზე მოჭრილი პური კვლავ მინდორშია მიტოვებული პატარ-პატარა ბულულებად, რასაც ქარი და წვიმა აზიანებს. ბრიგადირები დ. ალადაშვილი და ლიზა ბალიევი დაზვინვისათვის არ ზრუნავენ. მსგავსი მდგომარეობაა ერეთისკარისა და თამარიანის კოლმეურნეობებში.

ლეწვის გაჭიანურება საფრთხეს უქმნის პურის დამზადების გეგმის დროულად შესრულებას.

გ. ყაჯრიშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მოვემზადოთ ციტრუსთა ნაყოფის მიღება-გადამუშავებისათვის

წელს აჭარის ასს რესპუბლიკის სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელნი მოკრეფენ და სახელმწიფოს მისცემენ ლიმონის, ფორთოხლისა და მანდარინის უხვ მოსავალს.

ციტრუსხილდამზადების აჭარის საოლქო კანტორამ დროულად დაიწყო ციტრუსთა ნაყოფის მიღება-გადამუშავების სეზონისათვის მზადება. შეკეთებულია 5 შემფუთავი ქარხანა და 8 მიმღები პუნქტი. მთავრდება დაგვის შემფუთავი ქარხნის ტარა-მასალის დიდი ფარდულის მშენებლობა. დაწყებულია მუხაესტატესა და ხალის პავილიონების კაპიტალური რემონტი. სრულ წესრიგზეა მოყვანილი ქარხნების მექანიზმები. შეკეთებულია ყველა დამხარისხებელი მანქანა. დაგვის შემფუთავ ქარხანაში დაიდგმება ელექტროდიზელი, ხოლო ბათუმისა და ორთაბათუმის შემფუთავ ქარხნებში — თითო დამყალიბებელი მანქანა.

ციტრუსთა ნაყოფის შეფუთვის მექანიზაციის გასაუმჯობესებლად წელს ყველა ქარხანაში მოეწყობა სპეციალური დანადგარები, რაც მნიშვნელოვნად გაადიდებს შრომის ნაყოფიერებას.

წინა წლებთან შედარებით უკეთ არის მოგვარებული ავტოტრანსპორტის საქმე. საოლქო კანტორა დამატებით 15 ავტომანქანას მიიღებს. ამრიგად, მიმღები პუნქტებიდან და პავილიონებიდან ნაყოფის დროული გადაზიდვა უზრუნველყოფილი იქნება.

ციტრუსთა ნაყოფის მიღება-გადამუშავების ყველა სეზონში აჭარის დამამზადებელ ორგანიზაციათა ერთ-ერთი ნაკლოვანება ყოველთვის იყო ყუთების სიმცირე. თუ ამ მხრივ მუშაობის ტემპი არ გაძლიერდა, ეს ნაკლოვანება თავს იჩენს წელსაც. გეგმით გათვალისწინებული 260 მილიონი ცალი ნაყოფის მისაღებად და გასაგზავნად საჭიროა 286 ათასი სამუშაო და 865 ათასი უნივერსალური გასაგზავნი ყუთი. იმის გამო, რომ დამამზადებელი ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ ტარა-მასალის დამზადებასა და ჩამოტვირთვაზე, დღემდე მოახერხეს მხოლოდ 165 ათასი სამუშაო ყუთის შეჭედვა. უკეთესი მდგომარეობა არ არის არც გასაგზავნი ყუთების შეჭედვის მხრივ. ჯერჯერობით აკლიათ 605 ათასი ყუთი.

ციტრუსთა ნაყოფის დროულად მიღება, მისი ხარისხოვნად გადამუშავება და გაგზავნა დიდმნიშვნელოვანი საქმეა. დამამზადებელმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ იმისათვის, რომ ნაყოფის მიღება-გადამუშავება შეუფერხებლად სწარმოებდეს.

კ. რუსიშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

პარკის დამზადება

საქართველოს მეაბრეშუმეებმა დაიწყეს აბრეშუმის ჭიის მეორე გამოკვების პარკის ჩაბარება სახელმწიფოსათვის. ქუთაისში 5 აგვისტოსათვის დამზადებული იყო 57 ცენტნერი პარკი, წყალტუბოს რაიონის მეაბრეშუმეებმა უკვე ჩააბარეს 16 ცენტნერი, წულუკიძის რაიონის მეაბრეშუმეებმა 24 ცენტნერი, ხოლო ლაგოდეხის რაიონში დამზადებულია 36 ცენტნერი პარკი.

ამ დღეებში პარკის დამზადება მასობრივად გაჩაღდება.

ჩვენ გვწერენ

ვახუშტი ბაგრატიონის საფლავი

როგორც ვიცით, არსებობს აკადემიკოს მარი ბროსესა და სხვათა ცნობები იმის შესახებ, რომ სახელოვანი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონი დამარხული უნდა იყოს მოსკოვის დონის მონასტერში; ეს ცნობები კატეგორიული არ არის.

ვახუშტის გეოგრაფიის („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“) უკანასკნელ, 1941 წლის გამოცემაში რედაქტორები თ. ლომოური და ნ. ბერძენიშვილი ვახუშტის საფლავის შესახებ წინასიტყვაობაში (გვ. XI) სწერენ: „სამწუხაროდ, ვახუშტის საფლავი აღნიშნულ სასაფლაოზე (დონის მონასტერში. გ. ლ.) დღეს არ ჩანს. ვერც ბროსეს უპოვია იქ საფლავის ქვა საამისო ეპიტაფიით. უშედეგოდ ჩაიარა ამ მხრივ ჩვენმა შრომამაც. მით უფრო, რომ ჩვენი იქ ყოფნისას ქართველ მოღვაწეთა ეს პანთეონი საწყობად და სადურგლო სახელოსნოთ იყო გადაქცეული და, მიუხედავად დონის მონასტერში აწ გამართული მუზეუმის დირექციის მხრივ ხელის შეწყობისა, ჩვენთვის ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა ძვირფასი სასაფლაოს ზედმიწევნითი შესწავლა.

საყურადღებოა პროფესორ ალ. ჯავახიშვილის ცნობა, რომ მას სტუდენტობისას ხსენებულ პანთეონში უნახავს იატაკში დატანებული საფლავის ქვა გადასული წარწერით, სადაც ჯერ კიდევ ირჩეოდა რაღაც სიტყვის მარცვალი „შტი“: ეს გადასული წარწერა მიღებული ყოფილა იმ დროს ვახუშტის საფლავის ეპიტაფიად“.

ვახუშტის საფლავი ვიპოვე 1929 წელს დონის მონასტრის დიდი ტაძრის ქვეშ (ქართველთა სამარხში), ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილში. საფლავს იატაკში ჩასმული რუხი ქვა ადევს. ზემო ნაწილი ქვისა შეიცავს ორ წრეს ბაგრატიონთა საგვარეულო გერბის გამოსახულებით, რომელიც თითქმის [illegible] და [illegible]. ლოდის ქვემო ნაწილს, წარწერის ქვეშ, აქვს გამოსახულება თავის ქალის და ხელის მტევნისა. საფლავის რუსული წარწერა ცუდად არის შენახული. დარჩენილია შემდეგი სიტყვები: «(под) сим камнем лежит... цаоей грузинских... (в)ахуштия Вахтанг (геевича)... сын (а) царя Вахтанга... внука царя (Леона). (родился)... 1... года (умер)... 17 (84?) года».

წარწერაში ვახუშტის დაბადების და გარდაცვალების წლები თითქმის სრულიად წაშლილია. ქართველთა საძვალეში, სადაც ვახუშტი ჰმარხია, დონის მონასტრის მუზეუმის სადურგლოა გამართული. მთელი სასაფლაო ზევიდან იატაკდაგებულია და გადაფიცრული, ასე რომ არც ერთი საფლავი აღარ მოსჩანს.

საჭიროა, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიულმა ინსტიტუტმა ყურადღება მიაქციოს დიდი ქართველი მეცნიერის საფლავს და შესაფერი პატრონობა გაუწიოს მას.

ასეთსავე მდგომარეობაშია მოსკოვში მეორე ქართული სასაფლაო ვსესვიატსკოე, სადაც დამარხული უნდა იყოს სულხან საბა ორბელიანი და სადაც ჰმარხიან: პოეტი გიორგი ავალიშვილი, პოეტი დიმიტრი ბაგრატიონი, პოეტი მამუკა ბარათაშვილი, ვახუშტის აღმზრდელი გიორგი გარსევანიშვილი და სხვები.

საჭიროა შესწავლილ და მოვლილ იქნას ეს ისტორიული სასაფლაოც.

სასურველია ძველი ქართული ტაძრის ვსესვიატსკოეს (აგებულია არჩილ მეფის ასულის ბატონიშვილ დარეჯანის მიერ) ეზოში მოეწყოს ისტორიული და ლიტერატურული მუზეუმი.

გიორგი ლეონიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

წერილი მოსკოვიდან

იზრდება დედაქალაქის საქალაქო მეურნეობა

(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მოსკოვის მოწინავე საწარმოთა მოწოდებას, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს სტალინური ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულონ, მხურვალედ გამოეხმაურნენ დედაქალაქის საქალაქო მეურნეობის მუშაკები.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ებმებიან საცხოვრებელი სახლების მშენებლები და მერემონტეები, ტრანსპორტელები, კეთილმოწყობის, წყალსადენისა და გზის მუშაკები და სხვ. ისევე როგორც სამრეწველო საწარმოთა მუშები, ისინი ვალდებულებას კისრულობენ წლიური გეგმა შეასრულონ ვადამდე — დიდი ოქტომბრის 31-ე წლისთავისათვის, უზრუნველყონ ახალი აღმავლობა საქალაქო მეურნეობის განვითარებაში.

ტრესტმა „მოსჟილსტროიმ“, რომელიც წელს საექსპლოატაციოდ გადასცემს 18 ათას კვადრატულ მეტრზე მეტ საცხოვრებელ ფართობს, ვალდებულება იკისრა ვადამდე შეასრულოს წლიური პროგრამა.

ტრამვაის ბევრმა დეპომ წელს უარი სთქვა დოტაციის მიღებაზე. მძღოლებმა ვალდებულება იკისრეს გააუმჯობესონ მგზავრთა მომსახურება.

სწრაფად და შეწყობილად მიმდინარეობს მოსკოვის ცალკეული მაგისტრალების რეკონსტრუქციის სამუშაოები. ტრესტ „დორდორსტროის“ კოლექტივმა გადაწყვიტა 15 აგვისტოსთვის დაამთავროს ქუჩების მოასფალტების სამუშაოები. სამუშაოთა მოცულობა 40 ათას კვადრატულ მეტრს აღემატება.

„მოსგაზსტროიმ“ წელს უნდა გაიყვანოს 45 კილომეტრამდე გაზის მაგისტრალები. 27 ათას ბინაში დაამონტაჟოს შიდა ქსელი, გაზი მიაწოდოს 26 ათას ბინას.

ამ ტრესტის მშენებლებსა და მემონტაჟეებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პროგრამის ვადამდე შესასრულებლად.

მოსკოვს მწვანე რკალად აქვს შემოვლებული ტყეებისა და პარკებისაგან შემდგარი დამცველი ზოლი. მეტყევეებმა ვალდებულება იკისრეს 7 ნოემბრისათვის დაამთავრონ საწარმოო პროგრამა. მწვანე ზოლს მიემატება 150 ჰექტარი ახალი ნარგავები. 60 ათასზე მეტი ხე და ბუჩქი დაირგვება დედაქალაქის გარეუბნების პარკებში.

ყველა ამ ვალდებულების შესრულებით დედაქალაქის საქალაქო მეურნეობის მუშაკები წარმატებით ახორციელებენ მოსკოვის რეკონსტრუქციის სტალინურ გენერალურ გეგმას.

ყოველმხრივ მზად შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს

გასული სასწავლო წელი ჩვენმა სკოლებმა წარმატებით დაამთავრეს. სასწავლო წლის შედეგების განხილვა გვიჩვენებს, რომ წელს, წინა წლებთან შედარებით, საგრძნობლად შემცირდა იმ მოსწავლეთა რიცხვი, რომელნიც გამოცდის შემდეგ დატოვებული არიან იმავე კლასში მეორე წელს. წინსვლის დამადასტურებელია ის ფაქტიც, რომ წელს მეთერთმეტე კლასის ყოველი ასი მოსწავლიდან საშუალო სკოლა დაამთავრა 93 მოსწავლემ და კურსდამთავრებულთა საერთო რიცხვის თითქმის რვა პროცენტმა ოქროს ან ვერცხლის მედალი მიიღო.

ეს მიღწევები იმის შედეგია, რომ ჩვენი ქვეყანა დიდად ზრუნავს ახალგაზრდობისათვის, და რომ საბჭოთა მასწავლებლობას სათანადო პირობები აქვს შექმნილი წარმატებით გადაჭრას ახალი თაობის აღზრდის ამოცანები. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვას სკოლისათვის მჭევრმეტყველურად მოწმობს ის ფაქტი, რომ საბჭოთა სახელმწიფოს ბიუჯეტის თითქმის 70 პროცენტი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს ხმარდება.

წელს დიდი პროგრამაა დასახული ახალი სასწავლო წლისათვის მზადების დარგში. ახლა რესპუბლიკის მრავალ ქალაქსა და რაიონში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს იმ მიმართულებით, რომ სკოლებს კიდევ უკეთესი პირობები შევუქმნათ მუშაობისათვის. ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების და საბავშვო დაწესებულებათა საუკეთესო მომზადების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიმდინარე წლის 28 აპრილს მიიღეს დადგენილება, რომლის საფუძველზე შემუშავებული გეგმით გათვალისწინებულია 25 აგვისტოსათვის სრულ წესრიგზე იქნას მოყვანილი 4.253 სკოლა, 288 საბავშვო ბაღი, 30 საბავშვო სახლი; დამზადდეს 23 ათასზე მეტი მერხი, 5 ათასი დაფა, 12 ათასი მაგიდა, 2 ათას ხუთასი კარადა და სხვ. ამავე დროისათვის უნდა შეკეთდეს 80 ათასზე მეტი მერხი, დაფა და სხვა სასკოლო ავეჯი. სახელმწიფო გამომცემლობას დავალებული აქვს გამოსცეს 91 სახელწოდების სახელმძღვანელო წიგნი 2 მილიონამდე ტირაჟით. ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და ბეჭდვითი სიტყვის კომბინატს ევალებათ დაამზადონ 23 მილიონზე მეტი რვეული. დადგენილება რესპუბლიკურ სამეურნეო და მოვაჭრე ორგანიზაციებს ავალებს შემოზიდონ და ადგილობრივ დაამზადონ 1 მილიონამდე ფანქარი, ნახევარ მილიონამდე სამელნე, მილიონზე მეტი ცალი კალმისტარი. მათვე ევალებათ საკმაო რაოდენობით მოამარაგონ სკოლები მელნით, ცარცით, კალმებით და სხვა სასწავლო ნივთებით.

მრავალ რაიონსა და ქალაქში მშრომელი მოსახლეობის ჩაბმა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ტრადიციად იქცა. წელსაც რესპუბლიკის ბევრ რაიონში ჯერ კიდევ 20 ივლისისათვის მრავალი სასკოლო შენობა იყო მთლიანად მოყვანილი წესრიგზე. მაგალითად, ფოთის ნავსადგურმა და კოლხიდმშენმა სკოლებს საკმაო რაოდენობით გამოუყვეს კირი და აგური, მინა და სხვა საჭირო მასალა. სოფელ ყულევის რვაწლიანი სკოლის შენობას კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობამ 40 კუბმეტრი ხე-ტყის მასალა მისცა უსასყიდლოდ. ასეთი დახმარებით ფოთში და მის მახლობელ სოფლებში ყველა სკოლის კაპიტალური და მიმდინარე რემონტი 20 ივლისისათვის უკვე დამთავრდა. ბათუმის სამეურნეო ორგანიზაციებმა აიღეს შეფობა და ქალაქის 24 სკოლიდან 30 ივლისისათვის 21 სკოლაში უკვე დაამთავრეს შენობათა შეკეთება. ორჯონიკიძის რაიონში კოლმეურნეთა აქტიური დახმარებით 20 ივლისისათვის 44 სკოლიდან უკვე შეკეთებული იყო 40 სკოლა. ახალი სასწავლო წლისათვის მზადება კარგად მიმდინარეობს ხაშურის, აბაშის, ქუთაისის, ლანჩხუთის, მახარაძის, ცხაკაიას, წულუკიძის, ზესტაფონის რაიონებში, აგრეთვე სოხუმსა და ჭიათურაში.

ივლისის უკანასკნელ რიცხვებში ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეებმა ახალი ვალდებულებანი იკისრეს სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მოსამზადებლად. ხაშურის რაიონის კოლმეურნეებმა აიღეს ვალდებულება მაღალხარისხოვნად შეაკეთონ რაიონის ყველა სკოლის შენობა, უზრუნველჰყონ ისინი სასკოლო ინვენტარით და სათბობით, დაეხმარონ მასწავლებლებს სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვის მოწესრიგებისა და განთესვის ლიკვიდაციის საქმეში, მატერიალური დახმარება გაუწიონ ხელმოკლე ოჯახების შვილებს, შეუქმნან მასწავლებლებს პირობები ნაყოფიერი მუშაობისათვის. ხაშურის კოლმეურნეთა მოწოდებას გამოეხმაურნენ აბაშის, ჭიათურისა და ბორჯომის რაიონების კოლმეურნეები, რომლებმაც თავის მხრივ აგრეთვე კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს.

მაგრამ ზოგ ქალაქსა და რაიონში პარტიული ორგანიზაციები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სასოფლო საბჭოები და განათლების განყოფილებანი სათანადოდ ვერ ხელმძღვანელობენ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეს. განსაკუთრებით ჩამორჩება ახალი სასკოლო დგამ-ავეჯის დამზადება. მაგალითად, საქართველოს სსრ 26 რაიონში, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკაში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში 20 ივლისისათვის მერხების დამზადების გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 27 პროცენტით, დაფების დამზადების გეგმა კი 38 პროცენტით.

სასკოლო შენობების შეკეთება და ახალი ინვენტარის დამზადება განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს გურჯაანის, დმანისის, ახალციხის, ბოგდანოვკის, ადიგენის, დუშეთის, ასპინძის, ქარელისა და გარდაბნის რაიონებში. გურჯაანის რაიონში სასწავლო წლისათვის მზადების საქმე მთლიანად მიანდეს სკოლების ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილის გამგეებს, მათ ფაქტიურად დახმარებას არავინ უწევს.

ახალი სასკოლო დგამ-ავეჯის დამზადების საქმე განსაკუთრებით ჩამორჩება გეგეჭკორის, ონის, ჩხოროწყუს, წითელწყაროს, გარდაბნის, ბოლნისისა, ახალქალაქის რაიონებში. ამ რაიონებში დგამ-ავეჯის დამზადების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 7-10 პროცენტით.

ზოგიერთ რაიონში არ ექცევა ყურადღება მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარების საქმეს. დმანისის, ბოლნისის, ახალქალაქის და ზოგი სხვა რაიონის ჩასულ მასწავლებელთა ერთი ნაწილი ცუდ ბინებში ცხოვრობს, უფასოდ არ მარაგდება სათბობით. ყოველივე ეს იწვევს მასწავლებელთა დენადობას და სწავლების საქმის შეფერხებას. რესპუბლიკაში წელს აგებული უნდა იქნას 300 ბინა მასწავლებელთათვის, მაგრამ მშენებლობა ჯერჯერობით არც ერთ რაიონში არ არის დაწყებული. მასწავლებელთა საჭიროებისადმი ასეთ დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოს. ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა დიდი მნიშვნელობის საქმეა. გასულ წელთან შედარებით, წიგნების გამოცემის მდგომარეობა წელს უკეთესია: გეგმით გათვალისწინებულ 91 სახელწოდების წიგნიდან 30 ივლისისათვის გამოცემულია 57 სახელწოდების წიგნი, გეგმა 62,6 პროცენტით არის შესრულებული. მაგრამ სახელმძღვანელოების გამოცემის ტემპი მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. საგამომცემლო ორგანოებს მართებთ უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოჰკიდონ ხელი წიგნების გამოცემას, უზრუნველჰყონ საგამომცემლო გეგმის ვადაზე და მაღალხარისხოვნად შესრულება.

უკეთესი მდგომარეობაა რვეულების დამზადების საქმეში. უკვე მზად არის 11 მილიონზე მეტი ცალი რვეული. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სამელნეებისა და ფანქრების მომარაგება. სამეურნეო ორგანიზაციები ვალდებული არიან ამთავითვე მიიღონ საჭირო ზომები დაკისრებული ამოცანის შესრულებისათვის, ყველაფერი გააკეთონ, რომ მოსწავლეები სათანადოდ იქნენ მომარაგებული სასწავლო ნივთებით.

ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს სასკოლო ასაკის ბავშვთა ზუსტი აღრიცხვა და მათი სკოლაში მთლიანად ჩაბმა. ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ამ მხრივ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. 1947-48 სასწავლო წელს მოსწავლეთა ნაწილი სკოლის გარეთ დარჩა, ზოგიერთი მოსწავლე კი წლის განმავლობაში ჩამოშორდა სკოლას. მაგალითად, 1947-48 სასწავლო წლის განმავლობაში ბორჯომის, თელავის, ტყიბულის და ზოგი სხვა რაიონის სკოლებიდან განითესა საშუალოდ 400-600 მოსწავლე, მათ შორის უმრავლესობა დაწყებითი სკოლების მოსწავლეებია. უფრო ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ გარდაბნის, დმანისის, მარნეულის, თეთრი წყაროს და ზოგიერთ სხვა რაიონში. ეს ყოვლად დაუშვებელი მოვლენა იმით აიხსნება, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები სკოლებს ნაკლებად ეხმარებიან სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვისა და სკოლაში მათი ჩაბმის საქმეში. მშრომელთა დეპუტატების სარაიონო და სასოფლო საბჭოები ვალდებული არიან ყოველმხრივ დაეხმარონ განათლების ორგანოებს, მათთან ერთად უზრუნველჰყონ სკოლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვა და მათი მთლიანად ჩაბმა სკოლაში.

ახალი სასკოლო შენობების აგება განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ბორჯომის, ქარელის, ყვარლის, ცხაკაიას, ზუგდიდისა და თიანეთის რაიონებში. ამ რაიონების პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მართებთ გადაჭრით გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და წინ წასწიონ მშენებლობა.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მცირე დრო დარჩა. მიუხედავად ამისა, ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს. ხაშურელ კოლმეურნეთა ინიციატივა წარმოადგენს სკოლებსა და ბავშვებზე ზრუნვის სახალხო მოძრაობის საუკეთესო გამოხატულებას. ამ მეტად მნიშვნელოვანმა ინიციატივამ ფართო გამოხმაურება უნდა ჰპოვოს ყოველ ქალაქსა და რაიონში, ყოველ დაბასა და სოფელში, რომ მშრომელების რაც შეიძლება მეტი რაოდენობა ჩაებას სასწავლო წლისათვის სკოლების საუკეთესოდ მომზადების საქმეში. ამ მოძრაობას სათავეში უნდა ჩაუდგნენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

ა. კვაჭაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე

ეკატერინე გაბაშვილი

(გარდაცვალების 10 წლისთავის გამო)

შესრულდა 10 წელი ცნობილი ქართველი მწერლის — ეკატერინე გაბაშვილის გარდაცვალების დღიდან. ეკატერინე გაბაშვილი დაიბადა 1851 წლის 16 ივნისს ქ. გორში.

ეკატერინე გორში ცხოვრობდა 8 წლამდე. შემდეგ მამამ თბილისში ჩამოიყვანა და მიაბარა იმ დროს კარგად ცნობილ ფავრის პანსიონში. პანსიონში სწავლა მაღალ დონეზე იყო დაყენებული. მასწავლებლებმა მალე მიაქციეს ყურადღება ეკატერინეს მახვილ გონებას, აღტაცებული იყვნენ მისი ბეჯითობით, განსაკუთრებით ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარულითა და ცოდნით.

17 წლის ეკატერინემ დაამთავრა ფავრის პანსიონი და დაბრუნდა თავისი მამის სოფელში ფლევში. სოფელში ყოფნის დროს პატარა კატო უკვირდებოდა სოფლის გლეხკაცობის ჭირ-ვარამს, მის გაჭირვებულ ცხოვრებას, დაუღალავ შრომასა და ჩამორჩენილობას. ეს ცოცხალი მასალა შემდგომში მწერალმა ოსტატურად გამოიყენა მხატვრულ ნაწარმოებთა შესაქმნელად.

ეკატერინეს სოფელში დიდხანს არ მოუხდა ცხოვრება და კვლავ გორში დაბრუნდა, სადაც ყურადღება მიაქცია დაბალი ფენების ქალთა სწავლის საქმეს. მან პირველმა დააყენა საკითხი ქალთათვის გორში დაწყებითი სკოლის დაარსების შესახებ და მიზანსაც მიაღწია.

1871 წლიდან ეკატერინე თბილისშია. ამ პერიოდში ეკ. გაბაშვილს უკვე დაბეჭდილი ჰქონდა თავისი პირველი მოთხრობა-ეტიუდი — „გლეხკაცის აზრი სასოფლო სკოლაზე“, სადაც ახალგაზრდა ავტორი სწავლა-განათლების მნიშვნელობაზე ლაპარაკობს.

ეკატერინე გაბაშვილმა კარგად იცოდა საბავშვო ლიტერატურის დიდი როლი ბავშვის აღზრდის საქმეში, იცოდა, რომ იდეურად და მხატვრულად მაღალ საბავშვო წიგნს შეეძლო დაენერგა ბავშვში კეთილშობილი ჰუმანიური გრძნობები, სიმართლის სიყვარული, დაჩაგრული ადამიანის შველისა და უსამართლობასთან ბრძოლის სურვილები. ამიტომ მან მთელი თავისი საბავშვო მოთხრობები ამ იდეებს დაუკავშირა.

ე. გაბაშვილი იყო მუდმივი და ერთგული თანამშრომელი ჩვენში არსებული საბავშვო ჟურნალებისა („ნობათი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“).

ეკატერინე გაბაშვილი XIX საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადო მოღვაწეთა ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მწერალი ებრძვის სოციალურ უსამართლობას, ესარჩლება დაჩაგრულთ, იცავს მათ.

მწერალს სჯეროდა, რომ მომავლის რწმენის უქონლად არაფერი არ შეიქმნებოდა, ამიტომ თავის ნორჩ მკითხველებს ჩაუნერგა უკეთესი მომავლის რწმენაც, ცხოვრებისადმი სიყვარული, ლამაზი სიცოცხლისადმი მისწრაფება.

მწერალი დიდი სიფაქიზით ეპყრობა სოფლისა და ქალაქის დაბალ ფენათა ცხოვრებას. მან შესანიშნავად ასახა გლეხკაცთა სიღატაკე, სასოწარკვეთილება, გაჭირვება.

ეს განსაკუთრებით სჩანს მოთხრობებში: „მაგდანას ლურჯა“, „ღვინია გადაიჩეხა“, „მშიერაძის ოჯახი“, „მიხვდება და მაპატიებს“, „მამა დაბრუნდა“, „დედის მარჯვენა ხელი“, „ღვთის შვილი“, „ჭიაკოკონა ღამეს“, „ახალწელიწადი სასოფლო სკოლაში“, და მრავალი სხვა.

ამ მოთხრობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ნაწარმოებად ითვლება „მაგდანას ლურჯა“. მისი ფსიქოლოგიური ზემოქმედების ძალის საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ მკითხველი მთავარი გმირის — მაგდანას მოქმედებას, მის სულიერ მღელვარებას, დაძაბულ ფიზიკურ შრომას კვალდაკვალ მისდევს. მკითხველის აზროვნება ავტორისას წინ უსწრებს, თვითონვე დაასკვნის წინასწარ მშრომელი ქალის გამარჯვების, სიმართლის გამარჯვების აუცილებლობას.

ეკატერინე გაბაშვილი ღრმად მოხუცი იყო, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. იგი სიხარულით შეეგება მშრომელთა განთავისუფლებას და მიუხედავად იმისა, რომ იგი სრულიად დაუძლურებული იყო და წერა აღარ შეეძლო, ცხოველი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ხალხის ახალ ცხოვრებას.

ეკ. გაბაშვილი გარდაიცვალა 1938 წლის 7 აგვისტოს სოფ. ახალქალაქში.

ანა ღვინიაშვილი

რა გაკეთდა და რა კეთდება სამგორში

1948 წელი სამგორის ველის სარწყავ სამუშაოთა მასობრივად დაწყებისა და ფართოდ გაჩაღების წელიწადია. მარტო ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე წელს უნდა შესრულდეს 5.393.000 მანეთად ღირებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო, 1.133.000 მანეთად ღირებული საპროექტო საკვლევი სამუშაო და 1.464.000 მანეთის, ეგრეთწოდებული, ულიმიტო სამუშაო.

ეს გეგმა სამგორწყალმშენის კოლექტივმა უკვე გაანაღდა და მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის კაპიტალური დაბანდების გათვალისწინებული თანხა 102 პროცენტით აითვისა.

ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე წელს ბევრი რამ გაკეთდა. როგორც ცნობილია, თბილისის მშრომელთა ინიციატივით ეს მშენებლობა სახალხო მშენებლობად გამოცხადდა და 31 მაისიდან აქ ზედიზედ გაიმართა მშრომელთა მასობრივი კვირაობა. გარდა თბილისის მოსახლეობისა, სამგორის მშენებლობაში მასობრივად მიიღეს მონაწილეობა აღმოსავლეთ საქართველოს 18 რაიონის მშრომელებმა.

ასეთ მასობრივ კვირაობათა მოწყობის შედეგი მეტად კარგია. გეგმის მიხედვით, წელს ზემო სამგორში უნდა შესრულებულიყო 160.080 კუბმეტრი მიწის სამუშაო. ნამდვილად კი შესრულებულია 166.500 კუბმეტრი.

განსაკუთრებით ისახელეს თავი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ხაშურის, ბორჯომის, თეთრი წყაროსა და კასპის რაიონების მშრომელებმა.

აქტიური მონაწილეობა მიიღეს მიწის სამუშაოთა შესრულებაში დედაქალაქის მშრომელებმაც. მარტო თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც პირველნი გამოვიდნენ მასობრივად, 2.000 კუბმეტრის ნაცვლად 2.712 კუბმეტრი მიწის სამუშაო შეასრულეს.

მიწის სამუშაოთა ფრონტი ამჟამად ზემო სამგორის ველზე ისეთ მზადყოფნაშია, რომ სავსებით საკმარისია მომავალ ზაფხულამდე საბეტონო სამუშაოებისა და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის გასაშლელად. სამგორის მშენებელთა კოლექტივი ახლა ასრულებს ამ ჰიდროტექნიკურ სამუშაოებს და აბეტონებს არხის უბნებს.

მიმდინარე წლის განმავლობაში ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლებს ევალებათ დააბეტონონ არხი 6 კილომეტრ მანძილზე და დაიწყონ მესამე კაშხალის აგება თბილისის წყალსაცავთან, რომელსაც ხალხმა უკვე უწოდა „თბილისის ხელოვნური ზღვა“. მის ასაგებად საჭირო გახდება 85.000 კუბმეტრი მიწის სამუშაოთა შესრულება.

დ. ამირანიძე

რუსთაველის თეატრის კოლექტივის შემოქმედებითი საღამო სოხუმში

თბილისის რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრის კოლექტივმა სოხუმში საგასტროლოდ ყოფნის დროს მაყურებელს უჩვენა თავისი საუკეთესო დადგმები: „ოტელო“, „ღალატი“, „სამშობლო“, „ქეთევან დედოფალი“, „დიდი ხელმწიფე“, „ღრმა ფესვები“ და სხვ.

დადგმების ჩვენების შემდეგ აფხაზეთის პარტიულმა, საბჭოთა და კულტურულმა ორგანიზაციებმა ქართული თეატრალური კულტურის შესანიშნავ მედროშეს—რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივს, მოუწყო შემოქმედებითი საღამო. თეატრის კოლექტივის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ლეო ჭედიამ. მოხსენება გააკეთა კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა.

სოხუმის საზოგადოებრიობის სახელით რუსთაველის სახელობის თეატრის კოლექტივს მიესალმა აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი ს. სიგუა, ხოლო ახალგაზრდობის სახელით —ლ. პ. ბერიას სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ნ. გვილავა.

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვეს და სოხუმის მშრომელებს მადლობა გადაუხადეს სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ა. ხორავამ და ა. ვასაძემ.

დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა გ. დავითაშვილმა, თ. ჭავჭავაძემ, ე. აფხაიძემ, მსახიობებმა მ. ჩახავამ, ი. ჯავახიშვილმა და სხვ.

კინოფილმ „აკაკის აკვნის“ შემოქმედებითი კოლექტივის შეხვედრა მაყურებლებთან

დუშეთის რაიონული კულტურის სახლის დარბაზში მოეწყო თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის ნაწარმოების—მხატვრული ფილმის „აკაკის აკვნის“ შემოქმედებითი კოლექტივის შეხვედრა მაყურებლებთან.

თავიანთ მუშაობაზე მაყურებლებს უამბეს კინორეჟისორმა კ. პიპინაშვილმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კ. მიქაბერიძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მიხეილ ყვარელაშვილმა და სტალინური პრემიის ლაურეატმა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ნატო ვაჩნაძემ.

შესდგა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კ. მიქაბერიძემ, ნ. ვაჩნაძემ, ალ. მაჭავარიანმა, მ. ყვარელაშვილმა და კინოსურათის მონაწილე მოსწავლე ო. ჩიტაიამ.

მაყურებელთა სახელით შემოქმედებით კოლექტივს მიესალმა კომკავშირის დუშეთის რაიკომის მდივანი ამხ. ი. სუარიძე.

დასასრულს ნაჩვენები იქნა „აკაკის აკვნის“ ცალკეული ადგილები.

მესხეთის თეატრი მოსავლის აღების დღეებში

თავთავიანი მარცვლეული კულტურების უხვი მოსავლის აღებას ენერგიულად იბრძვიან ახალქალაქელი კოლმეურნეები. მათი კულტურული მომსახურების მიზნით მესხეთის სახელმწიფო თეატრმა მოაწყო საგასტროლო სპექტაკლები. რაიონის უშორესი სოფლების—გოგაშენის, ქილდის, კოთელიის, ბარალეთის, ჩუნჩხის და გოკიოს კოლმეურნეებმა პირველად ნახეს თეატრის დადგმები: ს. მთვარაძის „სახსოვარი“, ავქ. ცაგარლის „ხანუმა“ და საკონცერტო განყოფილება.

თეატრს განზრახული აქვს ასეთივე კულტმომსახურება გაუწიოს მოსავლის აღების დღეებში ასპინძისა და ადიგენის რაიონების მშრომელებს.

(„კომუნისტის“ საკ. კორ.).

დუნაის კონფერენციაზე

დუნაიზე ნაოსნობის რეჟიმის შესახებ კონვენციის საბჭოთა პროექტის განხილვა

ბელგრადი, 5 აგვისტო. (საქტაგის სპეც. კორ.). დღევანდელ დილის სხდომას თავმჯდომარეობდა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი კ. კენონი. გრძელდებოდა დუნაიზე ნაოსნობის რეჟიმის შესახებ კონვენციის საბჭოთა პროექტის განხილვა.

ამერიკის დელეგატმა კ. კენონმა, რომელიც პირველად გამოვიდა, თავისი სიტყვა დაიწყო განცხადებით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია, როგორც „პრაქტიკული ხალხის“ წარმომადგენელი, არ ეთანხმება საბჭოთა დელეგატის აზრს. რომ კონფერენციის წინაშე დასახული პრობლემა პოლიტიკურ პრობლემას წარმოადგენს. კენონის სიტყვით, კონფერენციამ უნდა იმუშაოს მხოლოდ ეკონომიურ საკითხებზე. მაგრამ მისი შენიშვნებით კონვენციის საბჭოთა პროექტის არსის შესახებ სავსებით უეჭველი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები დუნაის „ეკონომიური პრობლემების“ საფარქვეშ პირველ რიგში პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტას ცდილობენ.

კენონი დაჟინებით მოითხოვდა, რომ საერთაშორისო კომისიაში, რომელიც დუნაის კონვენციის პირობების შესასრულებლად შეიქმნება, წარმოდგენილ იქნან არა მარტო დუნაისპირა სახელმწიფოები, არამედ სხვა „დაინტერესებული ქვეყნებიც“. აქვე კენონმა აშკარად აგრძნობინა კონფერენციას, რომ მას, კერძოდ, მხედველობაში ჰყავს შეერთებული შტატები. დუნაის ნაოსნობის მართვაში ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობის პრეტენზიები კენონმა დაასაბუთა ყბადაღებული „ევროპის აღდგენის პროგრამის“ (მარშალის გეგმის) დამოწმებით. მან განაცხადა, რომ „ეს დიდი წამოწყება ცხადჰყოფს შეერთებული შტატების გადაწყვეტილებას განაგრძოს თავისი წვლილის შეტანა ევროპის ყველა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში“. ამავე დროს კენონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეერთებულ შტატებს „ეკისრებათ პასუხისმგებლობა დუნაის პრობლემების გადაჭრაში უშუალო მონაწილეობისათვის“, რამდენადაც ავსტრიასთან ხელშეკრულების საკითხი ჯერ კიდევ გადაუჭრელია და საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან ჯერ კიდევ არ არის დადებული.

ამერიკის დელეგატმა განაცხადა, რომ იგი „სავსებით ეთანხმება საბჭოთა დელეგატს, როდესაც იგი ამბობს, იმაზე, რომ არც ერთი დელეგაცია არ უნდა ცდილობდეს თავს მოახვიოს კონფერენციას თავისი ნება“, მაგრამ მან იქვე ჩამოაყალიბა დუნაის პრობლემის გადაჭრის პროგრამა, რომელიც ძირითადად ეწინააღმდეგება დუნაისპირა სახელმწიფოთა საარსებო ინტერესებს.

კენონმა სთქვა, რომ, ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, კონვენციაში შეტანილ უნდა იქნას „გარკვეული დებულებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ყველა სახელმწიფოს სავაჭრო გემების თანაბარ უფლებებს ნავსადგურებში შესასვლელად და მომსახურების საშუალებათა გამოსაყენებლად“ და რომ „სანაოსნო კომპანიებს ნება უნდა დაერთოს ივაჭრონ და მდინარეზე სააგენტოები შექმნან“. (ამ მოთხოვნათა ნამდვილი აზრი ცხადი ხდება მას შემდეგ, რაც გაეცნობით ამერიკის დელეგაციის მიერ დღეს გავრცელებულ კონვენციის კონტრპროექტს, რომლის თანახმადაც არადუნაისპირა ქვეყნების სანაოსნო კომპანიებს უნდა მიეცეთ განუსაზღვრელი შესაძლებლობანი, მათთვის „თავისუფალი ნავსადგურების ან თავისუფალი ზონების“ შექმნის შესაძლებლობაც კი).

რათა საზოგადოებრივი აზრის ყურადღება ჩამოეშორებინა ამ შორსგამიზნული მოთხოვნებისათვის, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ დუნაიზე ნაოსნობის ომამდელი არათანასწორუფლებიანი რეჟიმის აღდგენა, ამერიკის დელეგატმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გალაშქრა და დაუსაბუთებლად ბრალად დასდო დუნაიზე სანაოსნო კომპანიების, ნავსადგურების, დასატვირთავი სადგურების, ფაბრიკების, საცხოვრებელი შენობების, საწყობების, ელევატორების, კავშირგაბმულობის საშუალებათა, რკინიგზის ტრანსპორტისა და სხვ. „ხელში ჩაგდება“.

იმ შემთხვევისათვის, თუ დასავლეთ სახელმწიფოების წარმომადგენლებს მოუხერხდებოდათ დუნაის კომისიაში ფართო წარმომადგენლობა მოეპოვებინათ, კენონი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ამ კომისიისათვის ფართო რწმუნებათა მიცემას. „კომისიამ,—სთქვა მან,—უნდა უზრუნველჰყოს ნაოსნობის, ვაჭრობის პირობების მუდმივი შესწავლა და, გარდა ამისა, იგი უფლებამოსილი უნდა იქნეს უშუალოდ თვითონ იმუშაოს ასეთ საკითხებზე. კომისიას უფლება უნდა ჰქონდეს შეიტანოს რეკომენდაციები ნაოსნობის, ვაჭრობისა და წყლის რესურსების გამოყენების შესახებ წარმოდგენილ წინადადებათა მიხედვით, შეადგინოს ნაოსნობის, სანიტარული და პოლიციური ზედამხედველობის წესები... ურჩიოს ლოცმანებისა და შტურმანებისათვის ნებართვის მიცემის, ეკიპაჟებისათვის დოკუმენტების, საშვებთა და უშიშროების მოთხოვნათა ერთიანი პირობები“.

ამერიკის დელეგატმა განაცხადა, რომ „განზრახული დუნაის კომისია უნდა დაუკავშირდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სათანადო ორგანოებს“, სადაც, როგორც ცნობილია, დასავლეთ სახელმწიფოებს მათი მორჩილი უმრავლესობა ჰყავთ. (კენონის ამ განცხადებას აზუსტებს ამერიკის პროექტი იმ მხრივ, რომ დუნაის კომისიასთან აკრედიტებულ უნდა იქნან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომელნიც აღჭურვილი იქნებიან „სათანადო დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტეტით“ და უფლება ექნებათ დაესწრონ კომისიის სხდომებს, აგრეთვე ექნებათ მის სასამსახურო შენობებში შესვლის უფლება).

შემდეგ გამოსულმა საფრანგეთის დელეგატმა ა. ტიერიმ კვლავ წარმოადგინა მის მიერ უკვე გამოთქმული მოთხოვნა, რომ ახალ შეთანხმებას საფუძვლად დაედოს 1921 წლის კონვენცია. მან გაიმეორა მის მიერ წარსულ შაბათს გაკეთებული და დუნაისპირა ქვეყნების დელეგატების მიერ მაშინვე უარყოფილი განცხადება, თითქოს ამ კონვენციას კანონიერი ძალა არ დაუკარგავს, რამდენადაც მისი გაუქმება შეიძლება მხოლოდ ამ კონვენციის მონაწილეთა თანხმობით.

საფრანგეთის დელეგატმა სცადა შეკამათებოდა საბჭოთა დელეგაციას, რომელმაც დაამტკიცა, რომ 1921 წლის კონვენცია დაირღვა მისი შინაარსის შემცვლელი 1938 და 1939 წლების სეპარატული შეთანხმებებით, რომელთა შესაბამისად ინგლისმა და საფრანგეთმა დუნაისადმი კონტროლი ფაქტიურად ჰიტლერულ გერმანიას გადასცეს. ტიერიმ განაცხადა, რომ ძველ არათანასწორუფლებიან შეთანხმებათა გაუქმებით შეიქმნებოდა ერთგვარი იურიდიული „ვაკუუმი“ (სიცარიელე). ეს უცნაური სიტყვა საფრანგეთის დელეგატს იმისთვის დასჭირდა, რომ საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს 1921 წლის კონვენციის შეცვლა არ შეიძლება.

საფრანგეთის დელეგატს არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილება ახლანდელი კონფერენციის მოწვევის შესახებ სრულიადაც არ ითვალისწინებდა 1921 წლის კონვენციაზე დაბრუნებას, მით უმეტეს, რომ ამ კონფერენციის შემადგენლობაში, რაც მინისტრების საბჭომ განსაზღვრა, არ არიან არც იტალია, არც ბელგია, არც საბერძნეთი, რომლებიც ამ კონვენციაში მონაწილეობდნენ (როგორც ცნობილია, 1921 წლის კონვენციის 42-ე მუხლი ითვალისწინებდა, რომ მისი შეცვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ კონფერენციაზე ყველა იმ ქვეყნის მონაწილეობით, რომლებიც ომამდე არსებულ ევროპის დუნაის კომისიაში იყვნენ წარმოდგენილნი). მაგრამ ამ უდავო ფაქტიდან საფრანგეთის დელეგატმა მხოლოდ ის დასკვნა გააკეთა, რომ ახლანდელმა კონფერენციამ თითქოს... დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიოს იტალიის, ბელგიისა და საბერძნეთის წარმომადგენლები.

ტიერიმ თავისი სიტყვა დაამთავრა სიხარულის გამოთქმით იმის გამო, რომ ამერიკის დელეგაციამ შეიტანა დუნაიზე ნაოსნობის რეჟიმის შესახებ კონვენციის კონტრპროექტი.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

სოხუმის ჰიდროელექტროსადგური ამუშავების წინ

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ამუშავდება სოხუმის ჰიდროელექტროსადგური. ეს თვალსაჩინო მოვლენაა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავება იმის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია, თუ როგორ ისხამს ხორცს ჩვენი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება საქართველოს მშფოთარე მდინარეთა ძალის გამოყენების შესახებ. მხოლოდ ბოლშევიკებმა შესძლეს ხალხის ამ ოცნების განხორციელება. საქართველოში წინათ, დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე ხომ არც ერთი ჰიდროელექტროსადგური არ გვქონდა. ახლა მრავალი გვაქვს. ავაგეთ ზაჰესი, შემდეგ რიონჰესი და მთელი რიგი სხვა ჰიდროელექტროსადგურები. შარშან ამუშავებულ იქნა ხრამჰესი — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მძლავრი ჰიდროსადგური. ამჟამად შენდება ჩითახევჰესი, სამგორის ჰიდროელექტროსადგურთა მთელი წყება, ხოლო სულ ახლო ხანში მოქმედ ელექტროსადგურთა წყებაში ჩადგება სოხუმჰესიც.

წარმატებით ხორციელდება ელექტროფიკაციის ლენინურ - სტალინური გეგმა, რომელიც ძირფესვიანად სცვლის ჩვენი სამშობლოს სახეს. მხოლოდ ელექტროფიკაციის ბაზაზე იყო შესაძლებელი სოციალისტური საქართველოს გარდაქმნა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად.

ფართოდ გაჩაღებულ ახალ მშენებლობაში ქართველი ხალხი ხედავს მისდამი კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის და პირადად დიდი ბელადის, მხედართმთავრისა და საბჭოთა ხალხის მამის ამხანაგ სტალინის მშობლიურ მზრუნველობას.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა საშუალება ქართველ ხალხს ფართოდ გამოეყენებინა თავისი ტალანტი და შემოქმედებითი უნარი მეურნეობისა და კულტურის აღმავლობისათვის. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი გაგვეჩაღებინა ელექტროსადგურების ნამდვილად მასობრივი მშენებლობა და ელექტროენერგია ხალხის სამსახურში ჩაგვეყენებინა.

ჯერ კიდევ 1920 წელს, საბჭოების სრულიად რუსეთის მერვე ყრილობაზე, მოხსენებაში ელექტროფიკაციის ერთიანი სახელმწიფო გეგმის („გოელრო“) შესახებ, ბოლშევიკების პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი — ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის ფუძემდებელი — მიგვითითებდა: „ელექტროფიკაციის გეგმის უქონლად ნამდვილ მშენებლობაზე გადასვლას ჩვენ ვერ შევძლებთ“.

თავისთავად იგულისხმება, რომ სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობის უმნიშვნელოვანესი პირობაა ენერგეტიკული ბაზის განვითარება, ვინაიდან ელექტროენერგიის უქონლად ვერ განვითარდება სახალხო მეურნეობის ვერც ერთი დარგი.

სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავება გამოიწვევს ქალაქ სოხუმის მრეწველობისა და აფხაზეთის კურორტების ახალ აღმავლობას, ხოლო სოხუმჰესის შეერთებით საქართველოს ენერგეტიკულ სისტემასთან, რაც უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ვინაიდან მთელ ელექტროენერგიას ჩვენ ვერ გამოვიყენებთ, საქართველოს მზარდი ინდუსტრია მიიღებს დამატებითი ელექტროენერგიას მრეწველობისა, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის ასამუშავებლად საჭირო ძირითადი სამუშაოები უკვე შესრულებულია. უკვე ჩატარებულ სამუშაოთა მოცულობაზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საკმაოა აღვნიშნოთ, რომ მთიანი ადგილმდებარეობის ძნელ პირობებში მშენებლებმა შეასრულეს 1.190 ათასი კუბმეტრი მიწისა და კლდის სამუშაოები, ჩააწყეს 78 ათასი კუბმეტრი ბეტონი და რკინაბეტონი, საწნეო გვირაბის მოსაპირკეთებლად შეასრულეს 20 ათასი კვადრატული მეტრი რკინა-ტორკრეტის სამუშაო.

თვით სოხუმის ჰიდროელექტროსადგური წარმოადგენს საშუალო სიმძლავრის, ორიგინალური სქემის რთულ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას. ხრამჰესის შემდეგ სოხუმჰესი ყველაზე ძლიერი წნევის სადგურია. 1 აგვისტოსათვის სოხუმჰესის მშენებლობის ამუშავებისათვის მზადყოფნა 92 პროცენტს უდრიდა.

ამუშავების ამ წინადღეებში აქ განუწყვეტელი, დაძაბული შრომაა გაჩაღებული. მშენებლები უკვე ამთავრებენ თავიანთ სამუშაოს. ახლა ჯერი მემონტაჟეებზეა, რომლებიც მუშაობენ ელექტროდადგმულობისა და ჰიდროტექნიკურ მოწყობილობათა გამართვაზე.

მემონტაჟეებს უკვე შესრულებული აქვთ მრავალი სამუშაო. სათავეში დამთავრებულია ძირითად ნაწილთა მონტაჟი, ამჟამად სწარმოებს სასამსახურო ხიდებისა და საკეტთა ფარების აწყობა; საწნეო გვირაბში დამთავრებულია რკინა-ტორკრეტის კეთება და ლითონით მოპირკეთება; ლითონის საწნეო მილსადენი მთლიანად დამონტაჟებულია; სადგურის კვანძში დამთავრებულია სამივე ჰიდროტურბინის აწყობა; გამზადებულია აგრეთვე ხიდისებრი ამწე, რომელსაც შეუძლია 40-ტონიანი სიმძიმის აწევა; მთავრდება ორი პირველი გენერატორისა და საგენერატორო სადგურის ელექტრონაწილის მონტაჟი. სოხუმჰეს-სოხუმის მაღალვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზზე ამთავრებენ უკანასკნელი საყრდენების აღმართვას და უკვე დაიწყეს გადამცემი ხაზის გაბმა. გაშლილი ფრონტით მიმდინარეობს მუშაობა ქალაქ სოხუმში ე. წ. დასაწევი ქვესადგურის ღია და დახურული ნაწილების მოსაწყობად.

სოხუმი — საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ქალაქი, წარმატებით იმზადება სოხუმჰესის ელექტროდენის მესაღებად. დაწყებულია მაღალვოლტიანი გადამცემი ხაზისა და დაბალვოლტიანი ელექტროქსელის რეკონსტრუქცია და გაფართოება, შენდება ახალი სატრანსფორმატორო კიოსკები. მთელი ეს მუშაობა ისეთი ვარაუდით სწარმოებს, რომ სოხუმელთა მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე, როგორც გასანათებლად, ისე კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, მთლიანად იქნას დაკმაყოფილებული.

მშენებელთა კოლექტივი წარმატებით ახერხებს იმ რთული ტექნიკური საკითხებისათვის თავის გართმევას, რომლებიც წარმოიშობიან მშენებლობის პროცესში მთიანი რელიეფის სპეციფიკურ პირობებთან დაკავშირებით. სოხუმჰესის მშენებლებს შესანიშნავი სტახანოველები, ინჟინერ-ტექნიკოსები და სპეციალისტები ჰყავთ. კომუნისტები მშენებლობის სული და გული, მისი ორგანიზატორები და ინიციატორები არიან.

დიდი დახმარება გაუწია მშენებლობას ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნე გლეხობამ. ამიტომ ვთვლით ამ მშენებლობას ნამდვილად სახალხო მშენებლობად.

ახალგაზრდა მუშა ამხ. შ. ლ. ქორიძე 18 წლისა იყო, როდესაც სოფლიდან 1944 წელს მშენებლობაზე მოვიდა. იგი აქ იზრდებოდა. კვალიფიკაცია არ ჰქონდა, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობდა ტექმინიმუმის კურსებზე და მალე დაეუფლა მებეტონის პროფესიას. ახლა კომუნისტი შ. ქორიძე ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელია. მისი ბრიგადა გამომუშავების ნორმებს სისტემატურად 150-200 პროცენტით ასრულებს.

ასევე სახელოვანი გზა განვლო მეორე ახალგაზრდა მუშამ ამხ. ი. ი. გოჩუამ. იგიც 1944 წელს მოვიდა საკოლმეურნეო სოფლიდან ჩვენს მშენებლობაზე. თავიდანვე ისწავლა მჭედლობა და საფუძვლიანად დაეუფლა ამ პროფესიას. 1946 წელს ი. გოჩუა პარტიის რიგებში მიიღეს. მალე იგი უფრო პასუხსაგებ უბანზე გადაიყვანეს გვირაბში სამუშაოდ, სადაც მან აითვისა მეორე პროფესია — მეტორკრეტეობა. ახლა ამხ. გოჩუა სატორკრეტო სამუშაოთა კვალიფიციური ოსტატია.

სამაგალითოდ მუშაობს ამხ. ვ. პ. აბრამოვი. მან აქ დიდი საწარმოო გამოცდილება მიიღო და რამდენიმე პროფესია აითვისა. ამჟამად იგი საკომპლექსო ბრიგადის ხელმძღვანელია. მისი ბრიგადა საწარმოო დავალებას 140-200 პროცენტით ასრულებს.

სათავის ნაგებობათა მშენებლობას ხელმძღვანელობს კომუნისტი ინჟინერი ამხ. ი. მ. მღებრიშვილი. მისი უბანი მოწინავეა და საწარმოო გეგმებს ყოველთვის წარმატებით — 120-150 პროცენტით ასრულებს. სათავის ნაგებობათა უბნის ხელმძღვანელად მუშაობის პერიოდში ამხ. მღებრიშვილმა მრავალი რაციონალიზატორული წინადადება შემოიტანა.

სატორკრეტო და რკინა-სატორკრეტო სამუშაოებზე მთელი რიგი რაციონალიზატორული წინადადებები შემოიტანა უბნის უფროსმა ახალგაზრდა ინჟინერმა ამხ. მ. პ. მაჩიტაძემ. იგი ყოველთვის უზრუნველჰყოფს საწარმოო გეგმათა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებას.

ძალოვანი კვანძის უბნის უფროსია ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი ამხ. ვ. ჭ. კორჩიცი, რომელიც ენერგიულად მუშაობს და მუდამ წარმატებით ანაღდებს საწარმოო დავალებებს.

ასეთ სტახანოველ-ნოვატორთა დასახელების გაგრძელება კიდევ შეიძლება, ისინი აქ მრავლად არიან. სოხუმჰესის მშენებელთა მთელი კოლექტივი (უფროსი ამხ. გ. ი. ჩოგავაძე, მთავარი ინჟინერი ამხ. ვ. რ. ჩუბინიძე) სტახანოვურად, შეწყობილად მუშაობს.

განვლილ 1947 წელს სოხუმჰესის მშენებლობამ სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტროს ჰიდროტექნიკურ მშენებლობათა კოლექტივების სოციალისტურ შეჯიბრებაში ოთხჯერ მოიპოვა საპატიო მეორე და მესამე ადგილები, ხოლო ერთხელ — პირველი ადგილი და მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. მიმდინარე წლის განმავლობაშიც მშენებლობა საბჭოთა კავშირის ჰიდროელექტრომშენებლობის ავანგარდშია. განვლილ 7 თვეში ამ კოლექტივმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთჯერ მოიპოვა საპატიო ადგილი. აქედან აპრილში, მაისსა და ივნისში მას მინიჭებული ჰქონდა პირველი ადგილი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

სადგურის მშენებლობაში დიდი როლი ეკუთვნის დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას.

რაც უფრო ახლოვდება სოხუმჰესის ამუშავების ვადა, მით უფრო იზრდება მშენებელთა პათოსი, უფრო ძლიერად ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება და მისი უმაღლესი ფორმა — სტახანოვური მოძრაობა. — ვაშენოთ უკეთესად, უფრო იაფად, უფრო სწრაფად და ხარისხიანად! — ეს სიტყვები ხშირად გაისმის მშენებლობაზე, ხოლო სოხუმჰესის სახელოვან მშენებელთა სიტყვა არასოდეს არ სცილდება საქმეს.

მთელი კოლექტივი გამსჭვალულია ერთი აზრით — მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაზე აამუშაოს სოხუმის ჰიდროელექტროსადგური და მოახსენოს ეს დიდ ბელადსა და მასწავლებელს იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს.

აფხაზეთის მთელი პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის დახმარებით ყოველგვარად უწყობს ხელს სოხუმჰესის მშენებლებს და ეჭვი არაა, რომ სოხუმის ჰიდროელექტროსადგური მოქმედ სადგურთა მწყობრში ჩადგება დაწესებულ ვადაზე.

მოახლოებულია დღე, როდესაც ჩვენი ქვეყნის მშრომელები სოხუმჰესის ამუშავების გამო იტყვიან: — კიდევ ერთი გამარჯვებაა მოპოვებული ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის შესრულების საქმეში!

დაე მკაფიოდ იკაშკაშოს სოხუმის ჰიდროელექტროსადგურის სინათლემ, როგორც ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ზეიმის სიმბოლომ, რომელიც მოუწოდებს საბჭოთა ადამიანებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ახალი დიადი გამარჯვებისაკენ.

ა. მგელაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

დუნაის კონფერენციაზე

(დასასრული)

დღის სხდომაზე უკანასკნელად გამოსულმა უნგრეთის დელეგატმა სანტომ, რომელიც დელეგაციის მეთაურ ე. მოლნარს სცვლის, განაცხადა, რომ უნგრეთის დელეგაცია განხილვის საფუძვლად იღებს კონვენციის საბჭოთა პროექტს, რამდენადაც მისი პრინციპები შეეფერებიან უნგრელი ხალხის სურვილებს, რომელთა განხორციელებასაც იგი ათეული წლების განმავლობაში ელოდებოდა. უნგრეთის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა პროექტი, დღემდე არსებული ყველა კონვენციისაგან განსხვავებით, იცავს დუნაისპირა მცირე ერების ინტერესებს და უზრუნველჰყოფს მათი სუვერენიტეტის დაცვას.

— 1921 წლის კონვენცია, — სთქვა სანტომ, —სიტყვით აცხადებდა ნაოსნობის თავისუფლების პრინციპს. მაგრამ არსებითად ეს იყო მხოლოდ თავისუფლება იმპერიალისტური სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც კონვენცია თავისი პოლიტიკის იარაღად გამოიყენეს. ისინი ეფარებოდნენ ნაოსნობის თავისუფლებაზე ლაპარაკს, შეიჭრნენ დუნაისპირა ქვეყნების ტერიტორიაზე და იქ თავისი სურვილისამებრ პარპაშობდნენ.

უნგრეთის დელეგატმა სთქვა, რომ კონვენციის საბჭოთა პროექტი დუნაისპირა ქვეყნებისათვის უზრუნველჰყოფს არა მარტო ნაოსნობის თავისუფლებას დუნაის მთელ სიგრძეზე, რითაც ისინი წინათ ვერ სარგებლობდნენ, არამედ ქმედით მონაწილეობასაც დუნაიზე ნაოსნობის მართვაში. ამავე დროს უნგრეთის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა პროექტი არადუნაისპირა სახელმწიფოებს ანიჭებს დუნაიზე ნაოსნობაში მონაწილეობის სრულ უფლებას იმ პირობით, რომ დუნაისპირა სახელმწიფოების სუვერენიტეტს ზიანი არ მოუვიდეს.

— საბჭოთა პროექტი შეიძლება საფუძვლად გახდეს საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის განმტკიცებლად. ამ თანამშრომლობას თავს არ მოარიდებს არც უნგრეთი, და არც სხვა დუნაისპირა სახელმწიფო. პირიქით, ისინი მისი ერთგული გამტარებლები არიან.

— სწორედ ამიტომ,—სთქვა სანტომ,—მე განსაკუთრებით სასიხარულოდ მიმაჩნია ის ფაქტი, რომ პროექტში წარმატებით შეხამებულია ნაოსნობის თავისუფლების პრინციპი და ამავე დროს ეროვნული სუვერენიტეტის დაცვა. ხოლო გამორიცხულია დუნაის აუზში იმპერიალისტთა შეღწევის საფრთხე. ეს პროექტი უზრუნველჰყოფს ერთადერთ რეალურ და სამართლიან საფუძველს, რომელზეც მართლაც შეიძლება აშენდეს ეკონომიური თანამშრომლობა დუნაისპირა და არადუნაისპირა სახელმწიფოთა შორის.

დასასრულ უნგრეთის დელეგატმა მხარი დაუჭირა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მიერ გუშინ გაკეთებულ განცხადებას ბეშსა და გენიუს შუა დუნაის უბნის ექსპლოატაციის შესახებ, რომლის შენახვაც მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს. მან თავის მხრივ სთხოვა კონფერენციას სათანადო ყურადღება მიაქციოს ამ საკითხზე უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მიერ ერთად შემოტანილ წინადადებას.

* * *

ბელგრადი, 5 აგვისტო. (ტასსის სპეც. კორ.). დღევანდელ საღამოს სხდომაზე გამოვიდა უკრაინის დელეგაციის მეთაური ა. მ. ბარანოვსკი. მან აღნიშნა, რომ დუნაიზე ნაოსნობის საკითხი მჭიდროდ ეხება უკრაინის სს რესპუბლიკის, როგორც შავი ზღვისპირა და დუნაისპირა სახელმწიფოს ინტერესებს, და მოაგონა სხდომას, რომ უკრაინის ხალხებს მრავალი საუკუნის მანძილზე ეკონომიური კავშირი ჰქონდათ დუნაისპირა ქვეყნებთან. უკრაინის რესპუბლიკის ინტერესები დუნაიზე ბევრად გადიდდა ერთიან საბჭოთა სახელმწიფოში უკრაინული მიწების გაერთიანების შედეგად. ახლა უკრაინის სს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარი 160 კილომეტრზე მეტი მანძილით უშუალოდ დუნაიზე გადის.

უკრაინის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა უკრაინას სწადია დუნაიზე ისეთი რეჟიმის დამყარება, რომელიც დაიცავს მის სუვერენულ უფლებებს და ხელს შეუწყობს სხვა ქვეყნებთან მისი კავშირის განვითარებასა და განმტკიცებას.

ბარანოვსკი შეეხო დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენლების მიერ კონფერენციაზე დაკავებულ პოზიციას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათ სურთ დუნაიზე აღადგინონ 1921 წლის კონვენციით შემოღებული რეჟიმი, ან, ყოველ შემთხვევაში, დუნაისადმი კონტროლის იმ სისტემის მსგავსი რეჟიმი. მან აღნიშნა, რომ მათი მისწრაფება—აღადგინონ „ინტერნაციონალური რეჟიმი" და „თანასწორ ეკონომიურ შესაძლებლობათა" რეჟიმი ამ წარმომადგენლებს იმისათვის ესაჭიროებათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი წარმოგვიდგინონ, როგორც საერთაშორისო შეთანხმებათა პრინციპის დაურღვევლობის უანგარო დამცველნი და დაფარონ ამ სახელმწიფოთა თავგამოდებული ბრძოლა ვიწრო ანგარებითი ინტერესებისათვის დუნაისპირა ქვეყნების სუვერენულ უფლებათა საზიანოდ.

ბარანოვსკიმ მოაგონა სხდომას, რომ „თანასწორ შესაძლებლობათა" და „სანაოსნო გზების ინტერნაციონალიზაციის" პრინციპების იმპერიალისტური არსი გამოაშკარავებულია სსრ კავშირის წარმომადგენელთა გამოსვლებით პარიზის საზავო კონფერენციაზე, გენერალურ ასამბლეაში და ამ კონფერენციაზე, და აღნიშნა, შეიძლებოდა ამაზე არ შევჩერებულიყავით, რომ არ ყოფილიყო ახალი ცდები აღადგინონ დუნაიზე ნაოსნობის არათანასწორუფლებიანი რეჟიმი, რომელიც ამ პრინციპებს ეყრდნობა.

უკრაინის დელეგატმა მოიყვანა მრავალი ფაქტიური მასალა, რაც ცხადჰყოფს, რომ ევროპის დუნაის კომისია, რომლის ნამდვილი ბატონ-პატრონებიც დასავლეთი სახელმწიფოები იყვნენ, იყო სინდიკატის მსგავსი რაღაც და უკონტროლოდ მართავდა დუნაის შესართავს. დუნაისპირა სახელმწიფოებს აკრძალული ჰქონდათ დუნაის ნაპირებზე ესე იგი მათს სუვერენულ ტერიტორიაზე აეგოთ რაიმე სანავსადგურო ან ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, დუნაის კომისიის თანხმობა თუ არ იქნებოდა.

მეორე მხრივ, ბარანოვსკიმ კონფერენციას მოაგონა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებიც „თანასწორ შესაძლებლობათა" და სხვათა ტერიტორიების „ინტერნაციონალიზაციის" დამცველებად გამოდიან, უაღრესი გულმოდგინებით იცავენ საკუთარ ტერიტორიულ ინტერესებს. მაგალითად, პანამის არხს, რომელიც ორ ოკეანეს აერთებს, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისათვის გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე დუნაის. მიუხედავად ამისა, ამ არხს მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები მართავენ.

ბარანოვსკი შეეხო ამერიკის დელეგატის გამოსვლას და სთქვა:

„ბ-ნ კენონს არა სურს აღიაროს დუნაიზე ნაოსნობის პრობლემის პოლიტიკური მნიშვნელობა. მან ამერიკის შეერთებული შტატების დაინტერესება დუნაით ახსნა მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკული, საქმიანი მიზეზებით. მაგრამ ფაქტები ცხადჰყოფენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა სრულიად მინიმალურად არის დაინტერესებული დუნაით. ამერიკის შეერთებული შტატების გემები დუნაიზე არასოდეს არ ყოფილან. მოცულობა ამერიკის ექსპორტისა რუმინეთში, ბულგარეთსა, იუგოსლავიასა და უნგრეთში, ამერიკის გამოქვეყნებული ცნობებით, 1937 წელს 19 მილიონ დოლარს უდრიდა, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ექსპორტის მხოლოდ 0,5 პროცენტს შეადგენს.

ბ-ნმა კენონმა არაორჭოფულად განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს დუნაიზე ისეთი კონვენცია სურთ, რომელიც ყბადაღებული მარშალის გეგმის რაღაც დამატების მსგავსი იქნებოდა. ცნობილია, რომ მარშალის გეგმა, რომელიც ამერიკის დელეგატმა დაიმოწმა, სხვა არა არის რა, თუ არა აშკარა ეკონომიური ექსპანსიის, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ევროპის პოლიტიკური და ეკონომიური დამონების პროგრამა. აქ წარმოდგენილმა დუნაისპირა ქვეყნებმა უკვე ცხადჰყავს თავისი დამოკიდებულება მარშალის გეგმისადმი, მათ უარჰყვეს იგი. უეჭველია, რომ ისინი ასევე მოეპყრობიან კონვენციის იმ პროექტებსაც, რომლებიც რამდენადმე მარშალის გეგმის დამატება ან ახალი გამოცემა იქნებოდა.

ბ-ნ კენონს სურს, რომ დუნაიზე თავისუფლად იარონ მსოფლიოს ყველა ერის გემებმა. ამის წინააღმდეგი არავინ არის. სწორედ ამას ითვალისწინებს კონვენციის საბჭოთა პროექტის I მუხლი. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ დუნაიზე ნაოსნობის მართვაში უნდა მონაწილეობდეს ყველა სახელმწიფო, რომელთა გემებიც აქ ივლიან. დუნაის კონტროლი უნდა გაუწიონ და მართონ იმ სახელმწიფოებმა, რომელთა ტერიტორიაზეც დუნაი გადის".

უკრაინის დელეგაციის სახელით ბარანოვსკიმ მხარი დაუჭირა სსრ კავშირის დელეგაციის მიერ წარდგენილ კონვენციის პროექტს.

შემდეგ გამოსულმა ბულგარეთის დელეგატმა ე. კამენოვმა გაიხსენა, რომ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ დუნაისპირა ქვეყნები ფაშისტურ მონობაში იმყოფებოდნენ და რომ მხოლოდ უძლეველი საბჭოთა არმიის მეოხებით, რომელმაც ფაშიზმი გაანადგურა, დუნაისპირა ხალხებს შესაძლებლობა მიეცათ მტკიცედ დასდგომოდნენ თავისუფალი დემოკრატიული განვითარების გზას.

— ჩვენ,—სთქვა მან,—უდიდესი მადლობა უნდა გამოვუცხადოთ საბჭოთა კავშირს, რომელმაც არაფერი არ დაიშურა იმისათვის, რომ უზრუნველეყო ჩვენი თავისუფლება, რითაც დღეს ვსარგებლობთ. სამწუხაროდ, ზოგიერთი სისუსტეს იჩენს—მალე ივიწყებს მისთვის გაწეულ დახმარებას. მაგრამ მთელ მსოფლიოში ყველა პატიოსანმა ადამიანმა იცის, რომ ვერავითარი ღონისძიება ვერ უზრუნველჰყოფდა ჰიტლერული უღლისაგან დუნაისპირა ქვეყნების განთავისუფლებას, დუნაისპირა ხალხებს რომ არ დახმარებოდნენ საბჭოთა ხალხები, რომლებმაც პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით მთელი თავისი ძალები გამოიყვანეს ფაშიზმის გასანადგურებლად.

კამენოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დუნაის აუზში მომხდარ ღრმა პოლიტიკურ ცვლილებათა შედეგად დუნაისპირა ქვეყნების ხალხები ნამდვილად დამოუკიდებელი და სუვერენული გახდნენ. მან სთქვა, რომ ამ გარემოებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კონფერენციის მუშაობის წარმატებისათვის, ვინაიდან იგი უზრუნველჰყოფს დუნაისპირა ქვეყნების ურთიერთგაგებას ყველა საკითხში.

ბულგარეთის დელეგატი შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გამოსვლას და სთქვა:

— კენონმა სთქვა, რომ შეერთებული შტატები პატივს სცემენ სხვა სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას და არ აპირებენ მხარი დაუჭირონ ისეთ წინადადებებს, რომლებიც მიმართულია მათი სუვერენიტეტის შესაზღუდავად. მაგრამ კენონმა იქვე შემოიტანა წინადადება, რომ დუნაის მართვაში მონაწილეობდნენ არადუნაისპირა ქვეყნები. მაგრამ კენონის მეორე განცხადება ხომ გამორიცხავს პირველს! ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ამერიკის წინადადებას და გადაჭრით უარვყოფთ მას.

ბულგარეთის დელეგატმა მოაგონა სხდომას წარსულში დუნაის მართვის ისტორია და აღნიშნა, რომ ამ მართვაში დასავლეთ სახელმწიფოთა ჩარევა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის პრინციპების უხეშ დარღვევას, დუნაისპირა სახელმწიფოთა ტერიტორიული სუვერენიტეტის აშკარა ხელყოფას. კამენოვმა სთქვა, რომ ევროპის დუნაის კომისია თავის დროზე შექმნილი იყო იმ საბაბით, რომ საპირო მდინარე ორი წლის ვადაში შლამისაგან გაიწმინდოსო, და შენიშნა:

— თითქმის 100 წლის განმავლობაში არ ხერხდებოდა დუნაის შესართავის გაწმენდა არც შლამისა და არც... კომისიისაგან.

დასასრულ კამენოვმა განაცხადა, რომ ბულგარეთის დელეგაცია სავსებით უერთდება კონვენციის საბჭოთა პროექტს და საფუძვლად იღებს მას.

იტალიის დეპუტატთა პალატაში

რომი, 5 აგვისტო. (ტასსი). მრავალი დღის დისკუსიის შემდეგ დეპუტატთა პალატამ მთლიანად მოიწონა ეგრეთწოდებული ფანფანის კანონპროექტი „უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის" შესახებ საბინაო მშენებლობის განვითარების გზით უმთავრესად მშრომელთა ხელფასის საკანონმდებლო შემცირების ხარჯზე. ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრებს გარდა, ამ კანონპროექტს ხმა მისცეს აგრეთვე სარაგატის მომხრეებმა.

დი ვიტორიომ დეპუტატთა პალატაში განაცხადა, რომ მშრომელები ამ კანონის წინააღმდეგ იბრძოლებენ იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს მათი ხელფასისა და სარსებო დონის ხელყოფას.

ფანფანის კანონპროექტის წინააღმდეგ ხმა მისცეს კომუნისტებმა და სოციალისტებმა.

ტოკუდა ტოკიოს ჩავიდა

ტოკიო, 5 აგვისტო. (ტასსი). ყველა გაზეთი იუწყება, რომ 4 აგვისტოს ტოკიოს ჩამოვიდა იაპონიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ტოკუდა, რომელსაც ამას წინათ თავს დაესხნენ. ვაგზალზე ტოკუდას შეხვდა პროფკავშირთა და კომპარტიის რამდენიმე ასეული წევრი. ტოკუდა გაემგზავრა მასობრივ ანტიფაშისტურ მიტინგზე ჰიბიაში, სადაც მოკლე, მაგრამ საბრძოლო სიტყვა წარმოსთქვა 20 ათას მსმენელის წინაშე. ტოკუდამ მასზე მოხდენილი ფაშისტური თავდასხმა დაახასიათა როგორც მმართველი კლასების სისუსტის ნიშანი.

ძიძი ცუსინის სააგენტოს ცნობით, ტოკუდამ გაილაშქრა სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახურის კანონის განზრახული გადასინჯვის წინააღმდეგ და ასიდას კაბინეტს ბრალად დასდო, რომ იგი აპირებს იაპონია უცხოელ კაპიტალისტებს მიჰყიდოს.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვა სხვადასხვა მასობრივი ორგანიზაციების ათზე მეტმა წარმომადგენელმა, მათ შორის კავშირგაბმულობის მუშაკთა სრულიად იაპონიის კავშირის თავმჯდომარემ დობასიმ და ქონების შესახებ უკანონო გარიგებათა გამომკვლევი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ მუტომ.

მექანიკოსთა სრულიად იაპონიის კავშირმა შეიტანა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს სამოქალაქო და საზოგადოებრივი სამსახურის კანონის გადასინჯვის შესახებ მთავრობის უკანასკნელი ბრძანებულების გაუქმებას. ეს რეზოლუცია მიღებულ იქნა ერთხმად.

ტრიბუნას, სადაც მიტინგი მიმდინარეობდა, მუშათა და პოლიციელთა ორმაგი პიკეტი იცავდა. მიტინგმა სრული წესრიგით ჩაიარა.

ისრაელის სახელმწიფოს მთავრობის წინადადება

თელ-ავივი, 5 აგვისტო. (ტასსი). დღეს საღამოს რადიო „ისრაელის ხმამ" ცნობა გამოაქვეყნა, რომ ისრაელის სახელმწიფოს მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავალს პალესტინაში გრაფ ბერნადოტს სთხოვა გადასცეს მეზობელ არაბულ სახელმწიფოებს წინადადება—დანიშნონ თავიანთი წარმომადგენლები საზავო მოლაპარაკებისათვის.

დღეს შესდგა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრ შერტოკის თათბირი გრაფ ბერნადოტთან. შერტოკმა ოფიციალურად სთხოვა ბერნადოტს გადასცეს არაბულ სახელმწიფოებს მიწვევა—შეხვდნენ ისრაელის მთავრობის წარმომადგენლებს საზავო მოლაპარაკებისათვის.

შერტოკისა და ბერნადოტის თათბირი, რომელიც თელ-ავივში შესდგა, სამ საათს გაგრძელდა. განხილულ იქნა იერუსალიმის დემილიტარიზაციის საკითხი და ისრაელის სახელმწიფოდან ლტოლვილ არაბთა პრობლემა.

თათბირის შემდეგ გრაფი ბერნადოტი ჰაიფას გაემგზავრა, საიდანაც როდოსს წავა.

ფულის სეპარატული რეფორმის შედეგები დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 6 აგვისტო. (ტასსი). გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი" სარედაქციო სტატიაში სათაურით—„ფულის რეფორმის ექვსი კვირის შემდეგ"—სწერს:

ცხოვრებამ ცხადჰყო, რომ გერმანულ მარკას აღმოსავლეთ ზონაში უფრო მკვიდრი საძირკველი და უფრო რეალური ღირებულება აქვს, ვიდრე „კლეის მარკას" დასავლეთში. მართალია, დასავლეთში რეფორმის შემდეგ ფასების ერთგვარი შემცირება მოხდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმით აიხსნებოდა, რომ მომხმარებლებს საკმარისი ნაღდი ფული არა ჰქონდათ, და მალე ფასებმა კვლავ მატება იწყო: მარტო პირველ ორ კვირაში ფულის რეფორმის შემდეგ ფეხსაცმლის ფასმა 50 პროცენტი მოიმატა, ქალის ჩულქისამ—200 პროცენტი, ხოლო კვების ნორმირებული პროდუქტების ფასი 2,5-ჯერ გადიდდა. ბიზონიის მშრომელ მოსახლეობას თავისი მცირე ჯამაგირით არ ძალუძს იყიდოს საქონელი, რაც ბარათებით ერგება.

დასავლეთ ზონებში, ისევე როგორც ბერლინის დასავლეთ სექტორებში, განუწყვეტლივ მატულობს უმუშევართა რიცხვი. მათი მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა მას შემდეგ, რაც მინიმუმამდე შემცირდა დახმარება უმუშევრობის გამო.

აღმოსავლეთ გერმანიისაგან განსხვავებით, სადაც ორწლიანი გეგმა მრეწველობის განვითარების სტიმულს წარმოადგენს, დასავლეთ ზონებში წარმოების დონე მეტად დაბალია.

გერმანულ მარკას საბჭოთა ზონაში უფრო მკვიდრი საფუძველი და მეტი მყიდველობითი უნარი აქვს, ვიდრე დასავლეთ მარკას.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნულ ყრილობაზე

ნიუ-იორკი, 4 აგვისტო. (ტასსი). 3 აგვისტოს მუშაობას განაგრძობდა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის მე-14 ეროვნული ყრილობა. როგორც გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყება, კომპარტიის ეროვნული კომიტეტის გენერალურმა მდივანმა იუჯინ დენისმა ყრილობას წარუდგინა პარტიის ეროვნული კომიტეტის მოხსენება, სადაც ლაპარაკია შეერთებულ შტატებში ფაშიზმის სწრაფ ზრდაზე, და წარმოდგენილია მის წინააღმდეგ ბრძოლის დაწვრილებითი პროგრამა. დენისმა მთავარი საფრთხე უწოდა მთავრობისა და მსხვილი კაპიტალისტების მიერ „ომის მოსამზადებლად ნავარაუდევი ეკონომიკის" შექმნას, რასთან დაკავშირებითაც შეიარაღებაზე წელიწადში 20 მილიარდ დოლარზე მეტი იხარჯება.

ამერიკელი მონოპოლისტები,—აღნიშნულია მოხსენებაში,—ცდილობენ თავისი ფაშისტური ტენდენციები დამალონ ანტიფაშისტური ლოზუნგებით, რადგან მათ კარგად იციან, რომ ამერიკელ ხალხს ფაშიზმი სძულს.

დენისი ფაშისტური საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამის წარდგენისას აკრიტიკებდა პროფკავშირთა ზოგიერთ პროგრესულ მოღვაწეს, აგრეთვე კომპარტიის ზოგიერთ წევრს იმისათვის, რომ მათ ვერ შესძლეს სწრაფად მოეწყოთ „გაბედული და გადამწყვეტი" ბრძოლა ტაფტ-ჰარტლის კანონის წინააღმდეგ, ზანგთა უფლებებისა და კომუნისტთა დასაცავად. მოხსენების ამ ნაწილში ეროვნული კომიტეტი მოუწოდებს იბრძოლონ კომუნისტურ პარტიაში, პროფესიულ კავშირებსა და ყველა მასობრივ ორგანიზაციაში თეთრკანიანთა შოვინიზმის წინააღმდეგ. მოხსენება აღნიშნავს ძალადობის გაძლიერებას ზანგთა წინააღმდეგ შეერთებული შტატების როგორც ჩრდილოეთში, ისე სამხრეთში.

დენისმა ხაზგასმით აღნიშნა მუშათა კლასისა და მთელი ანტიფაშისტური და ანტიიმპერიალისტური ბანაკის ბრძოლის უდიდესი პოტენციური შესაძლებლობა. მან სთქვა, რომ ახალი პროგრესული პარტია წარმოადგენს მონოპოლისტური სისტემისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის კრიზისის განვითარების შედეგს.

დენისმა განაცხადა, რომ კომუნისტური პარტიის მიერ პროგრესული პარტიისათვის მხარდაჭერა არ სცვლის იმ ფაქტს, რომ კომუნისტურ პარტიას აქვს პრინციპული, ისე როგორც ტაქტიკური უთანხმოებანი უოლესთან და მასთან დაკავშირებულ მესამე პარტიის ძალებთან.

დენისმა აგრეთვე გააფრთხილა ყრილობა, რომ მსხვილი კაპიტალისტები, თუმცა ისინი ამჟამად უმთავრეს დახმარებას უწევენ რესპუბლიკურ პარტიას, არ დაუშვებენ დემოკრატიული პარტიის მოსპობას, არამედ შეეცდებიან ყოველივე შესაძლებელი გააკეთონ, რათა თავიდან აიშორონ არსებული ორპარტიული სისტემის დაღუპვა.

ნიუ-იორკი, 5 აგვისტო. (ტასსი). გუშინ კომპარტიის მე-14 ეროვნული ყრილობის მონაწილეებმა მოისმინეს საორგანიზაციო საკითხების დარგში კომპარტიის მდივნის უინსტონის მოხსენება და მოიწონეს რეზოლუცია, სადაც დაგმობილია „კონგრესის სპეციალური სესია, რომელიც ცდილობს თავი აარიდოს მის წინაშე დასმული საარსებო პრობლემების გადაჭრას, „კომუნისტური შეთქმულების" ინსცენირებით, რათა ხალხის ყურადღება ჩამოაშოროს თავის რეალურ პრობლემებს".

ისევე, როგორც ყრილობის მუშაობის პირველ დღეს, სხდომა დახურულ დარბაზში მიმდინარეობდა და იქ პრესის წარმომადგენლები არ შეუშვეს. მაგრამ ყრილობის შტაბმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა ანგარიში, რომელშიც აღნიშნულია, რომ ყრილობას ესწრება 250 დელეგატი და 100 სტუმარი. ყრილობის მუშაობა 6 აგვისტომდე გასტანს. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ყრილობის მონაწილენი მხურვალედ მიესალმნენ უინსტონის მოხსენებას, რომელიც მოუწოდებდა, ამერიკის კომპარტიაში ათიათასობით ამერიკელი მუშა მოვიზიდოთო.

უინსტონმა განაცხადა, რომ პარტიის რიგებში ქარხნის მუშათა მოზიდვა კომპარტიის წევრთა უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს.

ყრილობის მიერ ერთხმად მიღებული რეზოლუცია შეიცავს იმ ორპარტიული ცდების მწვავე კრიტიკას, რომ უკან დასწიონ კონგრესის სპეციალური სესიის წინაშე მდგომი უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

რეზოლუცია პროფკავშირულ და მასობრივ ორგანიზაციებს მოუწოდებს მიემხრონ კომპარტიის მოთხოვნას „დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას კანონები ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის, საბინაო მშენებლობისა და სამოქალაქო უფლებათა შესახებ, გაუქმდეს სავალდებულო სამხედრო ბეგარა მშვიდობიან დროს და გამოძიებულ იქნას იმ პირთა საქმიანობა, ვინც შეთქმულებას აწყობს ამერიკის დემოკრატიისა და საყოველთაო მშვიდობის წინააღმდეგ".

ჩეხოსლოვაკიის პასუხი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ნოტაზე ჩეხოსლოვაკიაში ტერორისტების საქმიანობის გამო

პრაღა, 5 აგვისტო. (ტასსი). შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ეროვნული თავდაცვის სამინისტრომ მთავრობის ამა წლის 18 ივლისის ცნობაში საყოველთაოდ გამოაცხადეს, რომ უშიშროების ორგანოებმა დაამთავრეს გერმანიის ოკუპაციის ამერიკული ზონიდან ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩამოსული ტერორისტების ბანდის საქმის გამოძიება. ტერორისტების მიზანი იყო ჩეხოსლოვაკიის 6 გამოჩენილი მოღვაწის მოკვლა და შპიონაჟი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ტერორისტებმა შესძლეს მაისის დამლევს მოეკლათ პარტიზანთა ცნობილი მეთაური მაიორი შრამი. შემდეგი მსხვერპლი უნდა ყოფილიყო მინისტრი სვობოდა. რადგან მთავრობის ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ტერორისტებს კავშირი აქვთ ამერიკის კონტრდაზვერვის ორგანოებთან, ამერიკის სამხედრო ორგანოებმა ამერიკის საელჩოს პრაღაში მოსთხოვეს, რათა ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განეცხადებინა, რომ ამერიკის სამხედრო ორგანოებს და მათს ხელქვეითებს ტერორისტებთან რაიმე კავშირი არ ჰქონიათ. გარდა ამისა, ამერიკის სამხედრო ორგანოები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ პრაღის საელჩოს ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის მოეთხოვნა უკან წაეღო ამერიკელებისათვის წაყენებული ბრალდებანი და ბოდიში მოეხადა.

ამასთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უპასუხა ნოტით, რომელშიც დაწვრილებით გააშუქა შინაგან საქმეთა და ეროვნული თავდაცვის სამინისტროების ცნობაში მოყვანილი ფაქტები. პასუხად ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა კატეგორიული მტკიცებისა, რომ არც მათს ორგანოებს, არც ამ ორგანოების ხელქვეითებს ტერორისტების დასახელებულ ჯგუფთან საერთო არაფერი ჰქონდათ, ჩეხოსლოვაკიის ნოტა შემდეგს იუწყება:

„მაიორ შრამის მოკვლის გამო დაპატიმრებულ პირთა დაკითხვით გამორკვეულია, რომ მ. ხოცი, რომელმაც 1948 წლის 27 მაისს ეს მკვლელობა მოახდინა, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში გამოემგზავრა ამერიკის დაზვერვის დავალებით. ქალაქ რეგენსბურგიდან ჩეხოსლოვაკიაში გამომგზავრების წინ მ. ხოცი მიიღო ამერიკის დაზვერვის ინფორმაციის სამსახურის მოხელემ. მკვლელობის ჩადენის შემდეგ მას თავშესაფარს ჰპირდებოდნენ ამერიკულ საოკუპაციო ზონაში.

დაპატიმრებულთ უპოვეს სია კითხვებისა, რომლებზეც პასუხის გაცემა მხოლოდ უცხოეთის კონტრდაზვერვისათვის შეიძლებოდა ყოფილიყო საინტერესო.

შემდეგ—ქვემოხსენებულ პირთა ოქმში შეტანილი ჩვენებით დადასტურდა, რომ ამერიკის დაზვერვის კაპიტანმა, რომელიც ცნობილია „უიკლის" მეტსახელით და რომელიც ცხოვრობდა შტრაუბინგში ამერიკის დაზვერვის მთავარ შენობაში, № 116 ოთახში, ინსტრუქტაჟს უწევდა მ. ბარაკს, რომელიც ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში გამოგზავნეს და დაავალეს მოეკლა გენერალი სვობოდა და ჩეხოსლოვაკიის არმიის სხვა თვალსაჩინო პირები. სანამ ბარაკი ჩეხოსლოვაკიაში გამოემგზავრებოდა, კაპიტანმა „უიკლიმ" დახურული ავტომობილით მიიყვანა იგი მისთვის უცნობ ვილაში, შტრაუბინგში, სადაც მან ინსტრუქცია მიიღო 12 ამერიკელი ოფიცრის თანდასწრებით. როგორც გამორკვეულია, ხსენებულმა ბარაკმა საგზაოდ მიიღო 10 ათასი კრონა ჩეხური ვალუტით, ათასი ამერიკული პაპიროსი, დიდძალი ხორცის და რძის კონსერვი და შოკოლადი. საზღვარზე ბარაკი არალეგალურად გადმოვიდა, მას იცავდნენ ამერიკის დაზვერვის აგენტები და გერმანელი მესაზღვრე დარაჯები.

დაპატიმრებულ პირთა ჩვენება მოწმობს, რომ რეგენსბურგში ე. ი. ამერიკულ ზონაში, სკოლის შენობაში—გოეთეს ქუჩა 22, 1948 წლის მაისის დამლევამდე მაინც ცხოვრობდა ნ. ვაგრა, მეტსახელად „მოხუცი", ქალაქ ზლინის ყოფილი სასკოლო ინსპექტორი, რომელიც ამერიკის საოკუპაციო ორგანოების დასტურით ეწეოდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ აქტიურ დივერსიულ ძირგამომთხრელ და ტერორისტულ საქმიანობას.

დაპატიმრებულ პირთა ჩვენების დამაჯერებლობისა და სიზუსტის გამო, ამასთან იმის გამო, რომ სხვადასხვა პირთა ჩვენება ერთმანეთს ემთხვევა, ჩეხოსლოვაკიის დაინტერესებულ ორგანოებს არ მოეპოვებათ რაიმე საფუძველი, რომ უნდობლობით მოეკიდონ დადასტურებულ ფაქტებს". საგარეო საქმეთა სამინისტრო თავის ნოტაში მტკიცედ მოითხოვს, რათა ამერიკის სამხედრო ხელისუფლებმა გამოიძიონ მოყვანილი ფაქტები იმისათვის, რომ დამნაშავენი დაისაჯონ.

იუგოსლაველი კომუნისტები პროტესტს აცხადებენ იუგოსლავიის კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ანტისაბჭოური პოლიტიკის წინააღმდეგ

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, მოსკოვში მყოფი იუგოსლავები—იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის წევრები, ვუერთდებით ჩვენი თანამემამულეების ღია წერილს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ყველა კომუნისტისადმი. ჩვენც მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ იმ მტრული პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი ხელმძღვანელობა აწარმოებს საბჭოთა კავშირის, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ), ყველა მოძმე კომპარტიისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების მიმართ.

იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ეს პოლიტიკა რევოლუციური ინტერნაციონალიზმისათვის ღალატია და იმპერიალიზმის ბლოკში ითრევს ჩვენს სახალხო რესპუბლიკას. როგორც იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის წევრები, ჩვენ მოვითხოვთ, რომ იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საჯაროდ აღიაროს თავისი შეცდომები და უარჰყოს ანტისაბჭოთა პოლიტიკა. ჩვენი ქვეყნის არსებობა და დამოუკიდებლობა, სოციალიზმის აშენება შეუძლებელია, თუ არ გვექნა საბჭოთა კავშირის ძმური დახმარება, თუ არ დავამყარეთ მჭიდრო მეგობრობა სხვა კომუნისტურ პარტიებთან საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) მეთაურობით, რომელსაც გენიალურად ხელმძღვანელობს ამხანაგი სტალინი.

იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის წევრები:

მიოდრაგ ნედელკოვიჩი, მირჩეტა ჩილილიევიჩი, ჟივკო გატინი, ნენად ცარიჩი, მიხაილო პეინოვიჩი, ლაზარ ტრაიკოვიჩი, ვოხილკა მარიანოვიჩი, მარია სვეტინა, მარია სოლანეცი, სავკა მარკოვიჩი, ნალის ზახიდი, სავო ვრტაჩნიკი, ვერა ლიუჩინი.

ცვლილებანი უნგრეთის მთავრობის შემადგენლობაში

ბუდაპეშტი, 5 აგვისტო. (ტასსი). დღეს უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ლაიოშ დინიეშმა ინახულა რესპუბლიკის პრეზიდენტი არპად საკაშიჩი.

დინიეშმა აცნობა პრეზიდენტს, რომ გარდა მისი, საკაშიჩის, თხოვნისა პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტიდან გადადგომის შესახებ, შემოვიდა კიდევ ორი განცხადება. ლასლო რაიკმა თხოვნა შემოიტანა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან, ხოლო ერიკ მოლნარმა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგომის შესახებ. დინიეშმა პრეზიდენტს აცნობა, რომ მინისტრთა საბჭო თანახმაა მიიღოს ეს გადადგომა და პრეზიდენტს სთხოვს დაამტკიცოს ეს.

არპად საკაშიჩმა დაამტკიცა გადადგომა და ამავე დროს დაეთანხმა მინისტრთა საბჭოს წინადადებას, რათა საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნოს ლასლო რაიკი, შინაგან საქმეთა მინისტრად—იანოშ კადარი და მრეწველობის მინისტრად—იშტვან კოშა (როგორც ცნობილია, მრეწველობის მინისტრის მოვალეობას ანტალ ბანის გადადგომის შემდეგ დროებით შეთავსებით ასრულებდა პრემიერ-მინისტრის მოადგილე არპად საკაშიჩი).

ამის შემდეგ ახალმა მინისტრებმა ფიცი დასდეს.

ამრიგად, უნგრეთის მთავრობის შემადგენლობაში ორი ახალი მინისტრი შევიდა. იანოშ კადარი არის უნგრეთის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივნის მოადგილე, იშტვან კოშა უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს გენერალური მდივანი.

შეთანხმება საბერძნეთში ინგლისის საპოლიციო მისიის ყოფნის ვადის განგრძობის შესახებ

ათენი, 5 აგვისტო. (ტასსი). ათენში აკრედიტებულ დიდი ბრიტანეთის საელჩოსა და საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ცალდარისს შორის დაიდო შეთანხმება საბერძნეთში ინგლისის საპოლიციო მისიის ყოფნის ვადის წელიწადნახევრით განგრძობის შესახებ.

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი სტოკჰოლმში

სტოკჰოლმი, 5 აგვისტო. (ტასსი). დღეს გათამაშდა მე-11, მე-12 და მე-13 ტურების გადადებული პარტიები. ბრონშტეინ-პირცის პარტიაში საბჭოთა ოსტატმა გამარჯვება მოიპოვა. საბომ მოუგო ტარტაკოვერს. ორი პარტია ყაიმით დამთავრდა, დანარჩენი კვლავ გადაიდო.

საღამოს შესდგა მე-14 ტური. ბოლესლავსკიმ მოუგო პახმანს, ბონდარევსკიმ—ლუნდინს, ფლორმა—შტეინერს, ტარტაკოვერმა—პირცს. ორი პარტია ყაიმით დამთავრდა, დანარჩენი პარტიები გადაიდო.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1948-49 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე: 1. საკომპოზიციო-თეორიული ფაკულტეტი (საკომპოზიციო, თეორიული, ისტორიული და საგუნდო-სადირიჟორო განყოფილება), 2. საფორტეპიანო ფაკულტეტი, 3. ვოკალური ფაკულტეტი, 4. საორკესტრო ფაკულტეტი (სიმებიანი და სასულე ინსტრუმენტების განყოფილება). განცხადებები მიიღება 15 აგვისტომდე, მისაღები გამოცდები იწარმოებს 20 აგვისტოდან 28 აგვისტომდე.

განცხადებები შემოტანილ უნდა იქნას კონსერვატორიის დირექტორის სახელზე, შემდეგი საბუთების თანდართვით: ა) ავტობიოგრაფია, ბ) მუსიკალური ათწლედის ან მუსიკალური სასწავლებლის ატესტატი (დედანი), გ) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), დ) პასპორტი (უნდა წარმოადგინონ პირადად), ე) სამი ფოტოსურათი ზომით 3×4 სანტ., ვ) ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ, ზ) ცნობა სახლმმართველობისაგან.

კონსერვატორიის მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 8.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს თბილისის სავაჭრო-კულინარიული სკოლა აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას 1948-49 სასწავლო წლისათვის. სკოლა ამზადებს დახლის მუშაკებს, კულინარებს და მოანგარიშეებს. სკოლაში მიიღებიან 8-კლასდამთავრებული ქალები და ვაჟები 15-დან 18 წლის ასაკამდე. განცხადების მიღება სწარმოებს 1 სექტემბრამდე ყოველდღე, გარდა კვირისა, საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე სკოლის კანცელარიაში. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას: განათლების მოწმობა, დაბადების მოწმობა, ავტობიოგრაფია, ცნობა ჯანმრთელობისა და ადგილსაცხოვრებლის შესახებ, აგრეთვე ორი ფოტოსურათი. მიღებულ მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია და სკოლის დამთავრების შემდეგ მოწყობილი იქნებიან სამუშაოზე თბილისის სავაჭრო ორგანიზაციებში. სკოლის მისამართი: ჩაიკოვსკის ქ. № 9, ქალთა მე-2 საშუალო სკოლის შენობა, ტელეფონი 3-52-10.

რ. კაჭარავა, ნ. სურგულაძე, თ. ბოლქვაძე, ს. პაპავა, ვ. კვანტალიანი, მ. პეტრიაშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, ნ. ქაცარავა, ტ. გურგენიძე, ე. მაყაშვილი, ზ. დავითაშვილი, კ. მამალუა, ს. ვართანოვი, თ. კაჭკაჭევა, თ. მანელოვა, ნ. გრიქურაშვილი, ი. სულაქველიძე, დ. ბაქრაძე, იუწყებიან **დავით აკოფაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ივლიტა, შვილი ნოდარ, არჩილ ბაქრაძე, ისაკ ორთანეზოვი, ნინო და სარა ბაქრაძეები ოჯახით იუწყებიან **ფირუზა მაისურაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VIII ქ. თელავში.

თბილისის ქალაქის ფინგანის თანამშრომლები იუწყებიან **დავით გრიგოლის-ძე აკოფაშვილის** გარდაცვალებას.

თბილისის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **გრიგოლ ანტონის-ძე ბუცხრიკიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8-VIII, 4 ს. კლარა ცეტკინის, 7.

თბილისის 23-ე აფთიაქის თანამშრომლები იუწყებიან **მარიამ დავითის ასულ ზაუტაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 7-VIII, 5½ ს. სვერდლოვის, 7.

თამარ და ნუნუ კვიჟინაძეები, დოდო მენაფირე იუწყებიან **ლევან კვაჭანტირაძის** გარდაცვალებას.

მშობლები ქუნია, ნიკოლოზ, მეუღლე თინა. შვილები ელიკო, ნიკო, დები ელიკო, მარგო და კატო. კატო კანდელაკი, პავლე ჯაკონია, ანდრო ნებიერიძე, იუწყებიან **ანდრო ნიკოლოზის-ძე შანიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 10-VIII, 5½ ს. ქუთაისი, გოგებაშვილის II შესახ. 12.

დედა პელაგია, ძმა პეტრე კახეთელიძეები, და ოლიმპია შვილებით: მაყვალა, ნათელა და ლეილათი აღლაძეები, მედიკო კახეთელიძე, ვალიკო რამიშვილი იუწყებიან **ზინა პავლეს ასულ ჯორჯიკიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 8-VIII, 4 ს. კავშირის, 4.

მეუღლე ლუბა, შვილები თამარ, მედეა, დები გოგოლა, ხონია ოჯახებით იუწყებიან **გიორგი ივანეს-ძე ერისთავის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9-VIII, 8 ს. გამოსვენება 10-VIII, 6 ს. ფალიაშვილის, 36.

თბილისის „ნეფტებაზის" მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ ნესტორ ჯორჯიკიას მისი მეუღლის **ზინა პავლეს ასულ ჯორჯიკიას** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ანასტასია, შვილი გულჩინა, და მარიამ იუწყებიან **დავით გიორგის-ძე აკოფაშვილის** გარდაცვალებას პანაშვიდი 7-VIII, 8 ს. გამოსვენება 8-VIII, 2 ს. კალინინის, 29.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის —3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24. მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 00093